საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 173-ე მუხლის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების 2025 წლის შესრულების ანგარიშს“.

აღნიშნულ ანგარიშზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

N 15269

11.05.2026

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N957 2026 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების 2025 წლის შესრულების ანგარიშის“ საქართველოს პარლამენტში წარდგენისა და საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე მომხსენებლად ნ. თათულაშვილის დანიშვნის შესახებ

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 173-ე მუხლის გათვალისწინებით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების 2025 წლის შესრულების ანგარიში“ წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების 2025 წლის შესრულების ანგარიშზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

2025 წელი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების 2025 წლის შესრულების ანგარიში

სარჩევი

შესავალი 3

I. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი გზამკვლევების შემუშავება 5

II. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის მიმართულება 22

III. დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის უზრუნველყოფა 33

IV. სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობა 46

V. დასაქმების ხელშეწყობა 51

VI. განათლების უფლების ხელმისაწვდომობა 56

VII. მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში 65

VIII. სტატისტიკის წარმოება და მონაცემთა შეგროვება 75

დასკვნა 81

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი აღიარებს და უზრუნველყოფს სამართლის წინაშე ადამიანთა თანასწორობის ძირითად უფლებას და ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, კონსტიტუცია ადგენს, რომ „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“.

2014 წელს, საქართველოს პარლამენტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიკაცია განახორციელა, რითიც, ერთი მხრივ, ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, ხოლო, 2021 წელს, მხარი დაუჭირა აღნიშნული კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის №551 დადგენილებით, შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 33-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საკონტაქტო უწყებას, რომლის მუშაობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, უშუალო ჩართულობითა და კოორდინაციით, ყოველწლიურად, ამზადებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნულ ანგარიშს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე“.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე“ 2025 წლის ანგარიშს, რომელშიც გაერთიანებულია ამავე კანონის მესამე თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებისგან მიღებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სისტემატურად ამტკიცებენ შიდაუწყებრივ სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მიმართულია ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებას და დაცვას.

აღნიშნული დოკუმენტი 8 თავისგან შედგება, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას და ეხმიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილ ვალდებულებებს.

ანგარიშის პირველი თავი ეთმობა ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლასა და შესაბამისი გზამკვლევების შემუშავებას; მეორე თავი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის საკითხს მიემართება; დოკუმენტის მესამე თავი ფარავს დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და მისაწვდომობის საკითხების უზრუნველყოფას; შემდგომი თავი ეხება სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობას; მეხუთე თავი პასუხობს დასაქმების ხელშეწყობის საკითხებს; შემდეგი თავები კი მიმოიხილავენ განათლების უფლების ხელმისაწვდომობას, მონაწილეობას კულტურულ, სპორტულ, გასართობ და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში და სტატისტიკის წარმოებას.

I. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი გზამკვლევების შემუშავება

2025 წლის მანძილზე, სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმაზე, **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს** და შესაბამისი საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ, ჟღერდებოდა ინფორმაცია საქართველოში, შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში განხორციელებულ პროგრესზე გამოწვევებზე და გეგმებზე.

2025 წლის 24 სექტემბერს, ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მე-60 სესიის ფარგლებში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიერ პირველად იქნა ორგანიზებული პარალელური ღონისძიება „Living with Rights: Autism, Care and Support, and Inclusion", რომელიც მიეძღვნა აუტისტური სპექტრის მქონე პირების ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს. ღონისძიება მიზნად ისახავდა ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კამპანიის წამოწყებას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დიალოგის გაღრმავებას აუტისტური სპექტრის მქონე პირთა უფლებების ხელშეწყობისთვის და სამომავლო აქტივობების საფუძვლის შექმნას.

ღონისძიებას მხარდაჭერა აღმოუჩინეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა. პარალელურ ღონისძიებას თანასპონსორობა გაუწია სხვადასხვა რეგიონის 14-მა სახელმწიფომ (ავსტრია, აზერბაიჯანი, გამბია, დომინიკის რესპუბლიკა, მალტა, მოლდოვა, მექსიკა, პორტუგალია, რუმინეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, უნგრეთი და ჩინეთი).

2025 წლის 10 მარტს, ჟენევაში ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) 58-ე სესიაზე და ნიუ-იორკში, 2025 წლის 23 ოქტომბერს გენერალური დებატების მე-3 კომიტეტის ფარგლებში, საქართველოს მისიიდან გააკეთეს ეროვნული განცხადებები შშმ პირთა საკითხებზე.

2025 წლის 17 დეკემბერს, გენერალური ასამბლეის მე-80 სესიის ფარგლებში საქართველომ დაასპონსორა რეზოლუცია: Implementation of the Convention on the Rights of Persons with Disabilities and the Optional Protocol Thereto: Amplified Barriers in Diverse Contexts (80/197).

2025 წლის განმავლობაში, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ შშმ პირთა ინოვაციურ და ტექნოლოგიურ საქმიანობაში ჩართვისა და მათ საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობების შექმნის მიზნით, რეგიონულ ტექნოპარკებში, რამდენიმე მიზნობრივი პროექტი განახორციელა კერძოდ:

- 2025 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, ახმეტის ტექნოპარკში, ელექტრონიკით დაინტერესებული პირებისთვის, ჩატარდა Arduino Robotics ტრენინგ-ვორქშოფი. კურსის ფარგლებში, მონაწილეებმა შეისწავლეს ელექტრონიკისა და პროგრამირების

საფუძვლები და დააპროგრამირეს ჭკვიანი დაფა. პროექტში ჩართული იყო 14 მონაწილე, მათგან - 5 შშმ პირი;

- 18 დეკემბერს, ზუგდიდის ტექნოპარკში, შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში ჩატარდა ერთდღიანი ვორქშოფი, სადაც მონაწილეები გაეცნენ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მანდატისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციას. შეისწავლეს ლაზერულ მჭრელზე მუშაობის ტექნიკა და მისი გამოყენებით შექმნეს საახალწლო აქსესუარები.

გარდა ამისა, შშმ პირები ჩართულნი იყვნენ შემდეგ პროექტებში/კურსებში:

- ინოვაციური აზროვნების ტური - პროექტი მოიცავდა ერთდღიან, ინტერაქციულ ღონისძიებებს, სადაც მონაწილეები გაეცნენ STEAM/ICT მიმართულებებს, მომავლის პროფესიებსა და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს. ღონისძიება განხორციელდა კახეთისა (საგარეჯო, დედოფლისწყარო, სიღნაღი, ლაგოდეხი, ყვარელი) და გურიის (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი) რეგიონებში;
- The Biodiversity Finance Initiative - აღნიშნული პროექტი რვა თვის განმავლობაში განხორციელდა ახმეტის ტექნოპარკთან პარტნიორობითა და UNDP-ს ფინანსური კონტრიბუციით. ის მოიცავდა ელ-კომერციის, მარკეტინგისა და ფინანსების მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას ტექნოპარკის ბაზაზე. მონაწილეებმა, ასევე, გაიარეს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ვორქშოფი;
- Smart Community კვირეული (ახმეტა) - მოიცავდა 5-დღიან ღონისძიებას, რომლის მიზანი იყო მონაწილეებისთვის ჭკვიანი მუნიციპალიტეტის ეკოსისტემის ფორმირების პროცესების, სივრცითი დაგეგმარებისა და უახლესი აგროტექნოლოგიების სოფლის მეურნეობაში ინტეგრირების გზების გაცნობა;
- How Do Robots Help Us – 10 დღიანი ტრენინგი ახმეტის ტექნოპარკში, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაეცნენ Arduino-ს გამოყენებით რობოტების შექმნის პროცესს;
- სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ტრენინგების ციკლი - ტრენინგები მოიცავდა Little Bits; 3D ინოვატორი და 3D მოდელირების ვორქშოფებსაც; თითოეული ტრენინგი გაგრძელდა 5-7 დღე;
- Smart School Builders – ხუთდღიანი ტექნოლოგიური კვირეული კასპის ტექნოპარკში, რომლის მიზანი STEAM და IoT მიმართულებებით ახალგაზრდების დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება იყო. პროექტი, ასევე, ითვალისწინებდა საგანმანათლებლო თემატიკის მიხედვით კომერციალიზაციის მქონე, ინოვაციური/ტექნოლოგიური სტარტაპ იდეებისა და პროტოტიპების შექმნას, რომელიც ექსპერიმენტის სახით სკოლებში დაინერგა;
- Wix for Schools - კასპის ტექნოპარკში ერთთვიანი WIX ვებსაიტების შექმნის ტრენინგი 13-15 წლის მოსწავლეებისთვის;

- ვორქშოფი „კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის საფუძვლები ციფრული მომავლისთვის“ - აღშინული ერთდღიანი ვორქშოფი ჩატარდა სენაკის ტექნოპარკის ინიციატივითა და ორგანიზებით;
- თბილისის ტექნოპარკში ჩატარდა საუნივერსიტეტო საგანი - Hardware პროდუქტის პროტოტიპირება, სადაც სტუდენტებმა ერთი სემესტრის განმავლობაში შეისწავლეს შემდეგი საკითხები: საწარმოო დიზაინის პრინციპები, 2D და 3D მოდელირების პროგრამები, პროგრამირებადი საწარმოო დანადგარები, ელექტრონიკის როლი საწარმოო პროდუქტის შექმნაში, ელექტრონული მოწყობილობები და პლატფორმები, ფაბლაბის დანადგარების მუშაობის პრინციპები, პროტოტიპის შექმნის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

აღნიშნულ პროექტებში, სულ მონაწილეობა მიიღო 27-მა შშმ პირმა.

საანგარიშო პერიოდში, შპს - საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ განახორციელა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა და ბარგის მომსახურების სამსახურის 13 თანამშრომლის გადამზადება ტრენინგით - „შშმპ და მათი ეტლის გამოყენების წესი“, რაც უზრუნველყოფს მეტად ხელმისაწვდომ, უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს შშმ პირებისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განაგრძობდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას შშმ პირებისა და მათთან ქცევისა და კომუნიკაციის საკითხებზე. ამ მიზნით, ინფორმაცია მიეწოდა ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს 11 თანამშრომელს.

2025 წელს, სსიპ - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბრაილის შრიფტით დაბეჭდა საინფორმაციო ბროშურები თემაზე: სურსათის უვნებლობის 5 გასაღები პრინციპი. აღნიშნული ბროშურები მომხმარებლის კვირეულის ფარგლებში გავრცელდა.

2025 წელს, **საქართვლოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს** სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა საგანმანათლებლო ვებინარები ინკლუზიური განათლების საკითხებზე. მშობელთა, მასწავლებელთა, ადრეული განათლების სპეციალისტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინკლუზიური განათლების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა 4 საგანმანათლებლო ვებინარი, რომელსაც დაესწრო 3000-მდე მონაწილე.

2025 წელს, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლასა და უსინათლოთა გერმანულ ინსტიტუტს (ბლისტა) შორის. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, გაიმართა უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობის სიმპოზიუმი გერმანელი პროფესორების მონაწილეობით, რომელსაც დაესწრო სსიპ -

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლები და ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში შედგა სასწავლო ტური გერმანიაში, ქალაქ მარბურგში, ორგანიზაცია „blistaCampus"-ში, მანდატურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის (რესურსსკოლის) წარმომადგენლები გაეცნენ ბრაილით ბეჭდვის ტექნიკებს, E-book სტანდარტს, მედიაცენტრის ფუნქციონირებას, ასევე შეფასების პროცედურებს გაფართოებულ ძირითად სასწავლო გეგმას და უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა შეფასება-კონსულტირების საკითხებს.

შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სსიპ-საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა „ინკლუზიური განათლების კონფერენცია". ღონისძიების ფარგლებში, განხილულ იქნა ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებული პრაქტიკა, გამოწვევები და შესაბამისი პროგრამების განვითარების შესაძლებლობები. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლები, ასევე, სასკოლო საზოგადოების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2025 წელს, გასული წლების მსგავსად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები, სკოლებში ძალადობის პრევენციის მიზნით, სხვადასხვა მტკიცებულებაზე დაფუძნებული მეთოდებითა და მიდგომებით, სისტემატურად ატარებდნენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებსა და ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მშობლებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, კიბერბულინგის, სიძულვილის ენის გავლენის შედეგები, პრევენცია და რეაგირება. ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, ტოლერანტობა, სტერეოტიპები, ადამიანის უფლებები, ადრეული ქორწინება, საგზაო უსაფრთხოება, ეფექტიანი კომუნიკაცია და სხვა. აღნიშნულ აქტივობებში, ყოველწლიურად, ათასობით მოსწავლე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი და მშობელი ერთვება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემუშავებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკა და გზამკვლევი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების მიმართ" დოკუმენტის მიხედვით, 2025 წელს, იდენტიფიცირდა ტრენინგების საჭიროება განსაზღვრული პროპონენტების, საკონკურსო კომისიისა და შერჩევის საბჭოების წევრების, მენეჯერების და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე პერსონალისთვის (კომუნიკაციის ენა, მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის პროცესის სპეციფიკურობა, გასაუბრების პროცესი, სპეციალური საჭიროებების შეფასება და ა.შ.).

საქართველოს სპორტის სამინისტრო განაგრძობდა საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტის მხარდაჭერას პარასპორტსმენების ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტში ჩატარდა „საანგარიშო საარჩევნო ყრილობა“. კომიტეტის პრეზიდენტმა წარადგინა განვლილი ოთხი წლის ანგარიში და გაიმართა კომიტეტის პრეზიდენტის და გამგეობის ახალი არჩევნები.

შედგა საინფორმაციო შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებთან, 2028 წლის ლოს ანჯელესის პარალიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით.

წლის ბოლოს, ჩატარდა საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის შემაჯამებელი გალა ღონისძიება. შედეგების პრეზენტაციის შემდგომ დასახელებული იქნა წლის საუკეთესო მამაკაცის, ქალის, მწვრთნელის, გუნდის, რეკორდებისთვის, ახალგაზრდა და ვეტერანი პარასპორტსმენების ნომინაციები. ასევე საქართველოს სპორტის სამინისტროს, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და თბილისის მუნიციპლიტეტის მერიის მიერ გალა დაჯილდოებაზე მოხდა წლის საუკეთესო მამაკაცი და ქალი პარასპორტსმენების წარდგენა და დაჯილდოება.

ჩატარდა ტრენინგი პარასპორტსმენებისათვის მათი უფლებებისა და საერთაშორისო კლასიფიკაციების შესახებ. მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ პარალიმპიური მოძრაობის ოლიმპიურ მოძრაობასთან გათანაბრების შესახებ.

ჩატარდა ტრენინგი მწვრთნელებთან და მედპერსონალთან პარასპორტსმენების უფლებების და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების წესების შესახებ.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ინიცირებით, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა ღონისძიება. კერძოდ:

2025 წლის 14 ივნისს, თელავის ისტორიული მუზეუმის სივრცეში, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა;

2025 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა მსოფლიო დღის აღსანიშნავად, სსიპ - ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა სხვადასხვა საინფორმაციო და შემეცნებითი ღონისძიება;

სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში: 2025 წლის 30 სექტემბერს - შშმ პირების გააქტიურებისა და მათი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ხოლო, 28 ნოემბერს - ინკლუზიური ხელოვნების შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირების მიზნით, ჩატარდა ლექცია - სემინარები;

სსიპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელში“, 2025 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა მსოფლიო დღის აღსანიშნავად, გაიმართა საინფორმაციო და შემეცნებითი ღონისძიება, სადაც მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია დაუნის სინდრომის შესახებ, მისი თავისებურებებისა და საზოგადოების როლის მნიშვნელობაზე ინკლუზიური გარემოს

შექმნაში. ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეებში ემპათიის, თანადგომისა და ტოლერანტობის გაძლიერება, სტერეოტიპების შემცირება და განსხვავებულობის მიღების კულტურის პოპულარიზაცია;

სსიპ - ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში დამკვიდრებული ტრადიციით, ყველა ღონისძიებას, თან ახლავს ცნობიერების ასამაღლებელი მოკლე ლექცია-საუბარი და საინფორმაციო ხასიათის ფლაერების გავრცელება. სსსმ და შშმ მოსწავლეები საინფორმაციო ხასიათის ფლაერებს ურიგებენ დარბაზში მსხდომ ყველა პირს. აღნიშნული აქტივობები განხორციელდა მუზეუმში 2025 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა მსოფლიო დღეს; (№8 საჯარო სკოლის ჩართულობით) და 2 აპრილს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეს;

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თანამშრომლებისთვის გადამუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები „შშმ პირებთან ურთიერთობები (ქცევა და კომუნიკაცია)". ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოეწყო შეხვედრები სამხატვრო აკადემიის იმ თანამშრომლებთან და სტუდენტებთან, რომლებიც მონაწილეობენ შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) პირებისთვის ინკლუზიური სასწავლო და შემოქმედებითი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების 4 მიმართულებით: ფერწერა, კერამიკა, ქსოვილის მხატვრული დამუშავება, შერეული ტექნიკები, ტრენინგები ჩატარდა შშმ პირთა რეაბილიტაციის დღის ცენტრების თანამშრომლებისა და ბენეფიციარებისთვის (ფიზიკური/მოტორული უნარის შეზღუდვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, აუტიზმის სპექტრის აშლილობა, დასწავლის უნარის დარღვევა/დასწავლის სპეციფიკური სირთულეები, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი).

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა, 5 კვირის განმავლობაში, სტაჟირება გაიარეს ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება"-ს დღის ცენტრში. სტაჟირება დასრულდა ივნისში. ივლისში აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო-შემოქმედებითი პრაქტიკები შშმ ბენეფიციარებთან. სტუდენტები ბენეფიციარებს ეხმარებოდნენ, უსმენდნენ, ემოციურად ერთვებოდნენ და არტ თერაპიის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობებს ატარებდნენ. თითოეული შეხვედრა უნიკალური გამოცდილება იყო როგორც ბენეფიციარებისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი" მუდმივად უზრუნველყოფს შშმ პირთა ცნობიერების ამაღლებასა და მათ კულტურულ ღონისძიებებში - საოპერო და საბალეტო სპექტაკლებზე დასწრებას. აღსანიშნავია, რომ არც 2025 წელი იყო გამონაკლისი და 173-ე, 174-ე სეზონის მანძილზე თეატრში ყველა სპექტაკლს ესწრებოდნენ მოწვეული შშმ პირები.

უნდა აღინიშნოს, რომ თეატრს ჰყავს კაპელდინერი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და მიღებული აქვს ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

2025 წლის 2 აპრილს, საგანმანათლებლო პროექტის „მუზეუმი და ინკლუზიური განათლება“ ფარგლებში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და სსიპ - ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის ორგანიზებით მოეწყო აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ნამუშევრების გამოფენა,,დღეს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა!“

გამოფენაზე ნამუშევრები წარმოადგინეს ქალაქ ქუთაისის №2, №4, №6, №8, №22 ასევე, ბაღდადის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის, წყალტუბოს №1 საჯარო სკოლებმა, ხონის აკაკი ჩხენკელის სახელობის №2 საჯარო სკოლამ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლამ, ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის აღსაზრდელებმა. ღონისძიებაში მონაწილე ყველა მოსწავლეს გადაეცა მადლობის სიგელი.

საანგარიშო წლის განმავლობაში **საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის** ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელდა ცნობიერების ასამაღლებელი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები სხვადასხვა ფორმატში - სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებთან, ადამიანის უფლებებთან, უფასო იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით; ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარები, პირისპირ შეხვედრები და თემატური კულტურული ღონისძიებები. ამასთანავე, გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარების ციკლი (სამოქალაქო ინტეგრაციის სკოლა) სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. შეხვედრებსა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 10 000-მდე ბენეფიციარმა, მათ შორის შშმ პირებმა.

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით დაგეგმილ და განხორციელებულ ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ**, საანგარიშო პერიოდში, განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები, რომლის მიზანს წარმოადგენდა სოციალური დაცვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამების, სერვისების, მიმდინარე რეფორმებისა და სამომავლო გეგმების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გაიმართა 10 შეხვედრა (ქვემო ქართლი – მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი ყიზილაჯლო, გარდაბანის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარაჯალარი, ქალაქი დმანისი; კახეთი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლები იორმუღანლო და ლამბალო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი კაბალა, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარაჯალა) რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა,

რომელთაც ინტერესის გათვალისწინებით მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების პირობების, მოსარგებლეთა კატეგორიების და მომსახურებებზე წვდომის მექანიზმების შესახებ. შეხვედრებზე დარიგდა საინფორმაციო მასალები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

გარდა აღნიშნულისა, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში შემავალი საკითხების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ მრავალრიცხოვან კამპანიებსა და შეხვედრებში. კერძოდ:

- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი მსოფლიო კამპანიის (2025 წლის 25 ნოემბერი – 10 დეკემბერი) ფარგლებში ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან დაახლოებით 100 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2 700-ზე მეტმა პირმა.
- ტრეფიკინგთან ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღეების (18 ოქტომბერი და 30 ივლისი), ფარგლებში ჩატარდა დაახლოებით 30 საინფორმაციო შეხვედრა, ჯამში 1000-მდე მონაწილით.

ღონისძიებებზე დამსწრე საზოგადოების ინფორმირება სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საქმიანობის თაობაზე გულისხმობდა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის განკუთვნილი სერვისების შესახებ ცნობადობის გაზრდას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების ჩართულობით, 2025 წლის განმავლობაში გაიმართა 80-ზე მეტი შეხვედრა სხვადასხვა თემატურ და პროფესიულ ჯგუფთან.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეების, ინსპექტირების პროცესისა და მისი შედეგების, სამსახურის მიმდინარე პროექტებისა და განვითარების სამომავლო გეგმების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების მიზნით 2025 წელს, 3824 საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომელიც შეეხო 35 000 მეტ პირს. შეხვედრის ფარგლებში შრომის ინსპექტორების მიერ გავრცელდა ცნობიერების ამაღლების მიზნებისთვის მომზადებული ბეჭდური მასალები, მათ შორის, სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებასთან და დასაქმებული შშმ პირების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებული საინფორმაციო მასალები.

გარდა ამისა, 2025 წელს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა 25 ვიდეორგოლი. მათ შორის, აღსანიშნავია „ინსპექტორის რჩევები“, რომლის ფარგლებშიც უშუალოდ შრომის ინსპექტორები მიმართავენ საზოგადოებას და აწვდიან დეტალურ ინფორმაციას შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების მარეგულირებელი ნორმების

შესახებ, რომელთა შორისაა: ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან, ბავშვთა შრომასთან, სამუშაო ადგილებზე სექსუალურ შევიწროებასთან, წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობასთან, გენდერულ სახელფასო სხვაობასთან, სამუშაო ადგილებზე შევიწროებასთან და გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. უწყების მიერ, ასევე, მომზადდა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ერთი ვიდეორგოლი გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, შრომით ნორმებზე მომზადებული 17 თემატური საინფორმაციო ბუკლეტი დაიბეჭდა ქართულ ენაზე და ითარგმნა ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. აღნიშნული ბუკლეტები მოიცავდა გონივრული მისადაგების პრინციპების დაცვის საკითხებსაც. მასალები ფართოდ გავრცელდა როგორც უშუალო შეხვედრების ფარგლებში, ისე სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, კერძოდ, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდსა (lio.moh.gov.ge) და სოციალურ პლატფორმებზე.

2025 წელს, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ უმასპინძლა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მთავარი აქცენტი გაკეთდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებსა და სერვისებზე. მხარეებმა განიხილეს არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. ასევე, გაეცნენ სხვადასხვა მხარდამჭერი მექანიზმის მოქმედების პრაქტიკულ მაგალითებს. შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივ სამომავლო თანამშრომლობაზე.

ასევე, სააგენტომ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა შშმ და სსსმ პირებთან. ქვემო ქართლში, ქ. რუსთავის სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ შეხვედრის მონაწილეებს წარედგინა სააგენტოს სერვისები და პროგრამები.

2025 წელს, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს** სისტემაში შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებები, რომელთა ფარგლებში სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით გადამზადდა 400-ზე მეტი დასაქმებული:

შშმ პირთა უფლებების საკითხებზე ტრენინგებს დაესწრნენ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების თანამშრომლები. კერძოდ:

- სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული 32 პირი;
- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმებული 43 პირი;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული 55 პირი;
- სსიპ - იუსტიციის სახლში დასაქმებული -98 პირი;
- სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს 15 დასაქმებული;
- სსდ - სპეციალური პენიტენციური სამსახურის 190 დასაქმებული;
- პენიტენციური სისტემის 15 ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის 40-ზე მეტი თანამშრომელი (როგორც ფიზიკური, ისე Zoom-ის სამუშაო შეხვედრები);
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მენეჯერული რგოლის 15 თანამშრომელი (Zoom-ის საინფორმაციო შეხვედრა).

სწავლების თემატიკა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კომუნიკაციისა და ქცევის ზოგადი წესები, შეზღუდული შესაძლებლობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება; სათანადო და სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება; შშმ პირთა უფლებები – ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა; გონივრული მისადაგება და უნივერსალური დიზაინი; სერვისის მიწოდებისას ეფექტიანი კომუნიკაციის სტანდარტები; ინკლუზიური გარემოსა და მისაწვდომი სერვისების უზრუნველყოფის პრაქტიკული მექანიზმები; ბარიერები და მათი დაძლევის გზები; სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთათვის მომსახურების ადაპტირების პრაქტიკული ასპექტები; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები; რთული ქცევის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებულებთან მუშაობის მეთოდები; ოკუპაციური თერაპიის სახელმძღვანელოს გამოყენება; შშმ პირთა უფლებების კომიტეტის მე-8 ზოგადი კომენტარი (შრომა და დასაქმება); შეზღუდული შესაძლებლობის თანამედროვე გააზრება; კომუნიკაციის ეთიკა და ქცევის ეტიკეტი; მხარდაჭერის სტრატეგიები სხვადასხვა დარღვევის მქონე პირთა მხარდასაჭერად.

აგრეთვე, შედგა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შშმ პირთა საჭიროებების კვლევის“ პრეზენტაცია და ვიდეორგოლის ჩვენება. ღონისძიებას დაესწრო სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 70-ზე მეტი დასაქმებული, მათ შორის შშმ პირები.

2025 წელს, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** (შემდგომ - სამინისტრო) სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და კომუნიკაციის სტანდარტი“ თემაზე სწავლება გაიარა სამინისტროს 556-მა თანამშრომელმა, კერძოდ:

- სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 488 თანამშრომელმა;
- სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 10 თანამშრომელმა;
- სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 40 თანამშრომელმა;
- სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 18 თანამშრომელმა.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრის (სამმართველო) მიერ, საგანგებო სიტუაციების დროს - შშმ პირებთან სწორი

კომუნიკაციის სტანდარტების და თავისებურებების გათვალისწინების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სასწავლო პროგრამის ფარგლებში, გადამზადდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 51 მოსამსახურე (ოპერატორი). გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების დროს როგორც შშმ პირებთან სწორი კომუნიკაციის სტანდარტების, ასევე, სამაშველო ღონისძიებების განხორციელებისას ურთიერთობის სპეციფიკისა და თავისებურებების თაობაზე, გადამზადდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 235 მოსამსახურე (მეხანძრე-მაშველი).

საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესებისა და საევაკუაციო ღონისძიებების ეფექტიანი ორგანიზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა სწავლებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- თბილისის №200, 202, 203 და 198-ე საჯარო სკოლებში;
- ქ. ქუთაისის №45 საჯარო სკოლა;
- ქ. ჭიათურის №12 საჯარო სკოლა;
- ქ. ახალციხის №7 საჯარო სკოლა.

სსსმ მოსწავლეებისთვის ჩატარდა როგორც თეორიული, ისე, ევაკუაციის ღონისძიებების პრაქტიკული სწავლება, რომლის მიზანი იყო საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხო ქცევის უნარების განვითარება. სწავლებების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც შეიცავს საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესებსა და შშმ პირებზე ადაპტირებულ ინსტრუქციებს.

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომ - სასაზღვრო პოლიცია) სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ, ამავე დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის შემუშავდა სასწავლო პროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის“ თაობაზე. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, სწავლებები ჩატარდა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყველა სამმართველოს (10 სამმართველო) იმ მოსამსახურეთა მიერ, რომლებიც გადამზადდნენ ტრენერებად. სულ 2025 წელს, სწავლება გაიარა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 596-მა მოსამსახურემ.

2025 წელს, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს შეხვედრა/ტრენინგები სამინისტროს თანამშრომლებთან შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს თანამშრომელთათვის შშმ პირთა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ცოდნის გაღრმავება და შშმ პირებთან კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნულის ფარგლებში, გადამზადდა 140-მდე თანამშრომელი.

2025 წელს, სსიპ - **საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის** ოთხმა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგკურსი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი“.

მომხმარებლის დაცვის III საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, თბილისში, ქ. ახალქალაქში, ქ.ზუგდიდში და ქ.ბათუმში სამუშაო-საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა, კვირეულის ძირითად მიზანს წარმოადგენდა - მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერება საქართველოში, ფინანსური და სადაზღვევო განათლების ხელშეწყობა, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება და ინკლუზიური მიდგომების განვითარების მხარდაჭერა. ღონისძიების ორგანიზატორების ინიციატივით, კვირეულში მონაწილეობდნენ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: საქართველოს ყრუთა და უსინათლოთა კავშირის წევრები.

2025 წელს, **სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის** მიერ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა შემდეგ ორგანიზაციებთან:

- კოლეჯი მოდუსი;
- ყრუთა კავშირის ზუგდიდის წარმომადგენლობა;
- თბილისის №200 სკოლა;
- პროფესიული კოლეჯი მერმისი;
- დღის ცენტრი „მზის შვილები“;
- კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი;
- ქუთაისის ყრუთა კავშირი.

ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში ჩატარებულია 103 შეხვედრა. ასევე, სხვადასხვა რეგიონში, 11 იუსტიციის სახლში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.

შშმ პირების და მათი შესაძლებლობების შესახებ კომისიაში დასაქმებულთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, 2025 წლის 21 მარტს სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შიდა სივრცეში, ჩატარდა დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ, უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეთა ცნობიერების ასამაღლებლად, 2025 წელს, ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა ინტერრელიგიური კალენდარი, რომელიც გადაეცა სსიპ - ქ. თბილისის №202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას და საქართველოს უსინათლოთა კავშირს.

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს სასწავლო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, 2025 წელს, კონკურენციის პოლიტიკის და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების გაძლიერების მიზნით, საგანმანათლებლო

სექტორში შეხვედრები გაიმართა. კერძოდ, შეხვედრები გაიმართა: ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა თბილისის №203 საჯარო სკოლის და უსინათლო ბავშვთა თბილისის №202 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

მონაწილეებმა მათთვის საჭირო, აქტუალურ საკითხებზე დეტალური პასუხები მიიღეს. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებმა, GCCA-ის (სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) წარმომადგენლებთან ერთად, დეტალურად მიმოიხილეს - რა მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გაითვალისწინონ ადგილზე და ონლაინ ყიდვის დროს, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები და დარღვევის შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ. ასევე, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე განიხილეს თუ რა არის კონკურენცია, რას უწყობს ხელს და როგორ იცავს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი მომხმარებელს. შეხვედრების ფარგლებში, ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ნაჩვენები იყო GCCA-ის მიერ ჟესტურ ენაზე მომზადებული ვიდეო მასალები და ბრაილი შრიფტით მომზადებული საინფორმაციო ბროშურები.

სააგენტოს ორგანიზებით, 2025 წლის 10-15 მარტს, მომხმარებელთა დაცვის III საერთაშორისო კვირეული გაიმართა. კვირეულის ფარგლებში ყურადღება დაეთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებელთა გაძლიერებას. ამასთან, გაიმართა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ სპეციალურად შემუშავებული მასალების პრეზენტაცია (ვიდეო რგოლი და სხვადასხვა საინფორმაციო მასალები), რომლებიც მიზნად ისახავდა შშმ პირების გაძლიერებას და მათთვის ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

დამატებით, ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მომზადდა და გავრცელდა თემატური ვიდეო კლიპი, რომლებიც ადაპტირებულია ჟესტურ ენაზე და მარტივი ფორმით აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას ძირითადი უფლებების შესახებ (ლინკი: https://www.facebook.com/reel/1827958888037236).შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ გადამზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 56 თანამშრომელი.

2025 წელს, **სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ დაიბეჭდა და დარიგდა 1000 ცალი ტრიპლეტი შშმ პირთა უფლებების დაცვის და უფასო იურიდიული მომსახურების პირობების შესახებ.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების წინ, საქართველოს **ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ** (შემდგომში-ცესკო), პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შშმ პირთა ინფორმირებისა და მხარდაჭერის მიზნით განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მათ შორის, 29 სექტემბერს ქუთაისში და 2 ოქტომბერს, თბილისში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან, საქართველოს ყრუთა კავშირის მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ამომრჩეველთა დეტალური ინფორმირება 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების, საარჩევნო პროცედურებისა და ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ, რაც

უზრუნველყოფდა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს გაძლიერებას და შშმ პირთა აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესში. 2025 წლის 26 სექტემბერს, თბილისში და 30 სექტემბერს, რუსთავში გაიმართა შეხვედრები უსინათლო ამომრჩევლებთან, საქართველოს უსინათლოთა კავშირის მონაწილეობით. მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია არჩევნების შესახებ და დაესწრნენ ელექტრონული ტექნოლოგიების დემონსტრირებას.

არჩევნებისთვის განახლდა მარტივად წასაკითხი გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო როგორც ელექტრონული, ისე ტრადიციული უბნებისთვის. გზამკვლევი გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე და ითარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის შემუშავდა ახალი მრავალეტაპიანი სატრენინგო კონცეფცია. ტრენინგებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შშმ ამომრჩეველთა საჭიროებებს, კომუნიკაციის ეტიკეტს და სპეციალური რესურსების გამოყენებას, მათ შორის: უსინათლოთა ბიულეტენის ჩარჩო, მცირემხედველთათვის გამადიდებელი ლინზა, ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული კაბინა და ყრუ ამომრჩევლებისთვის QR-კოდიანი პოსტერები.

დამატებით, მომზადდა ინსტრუქცია და დისტანციური სასწავლო კურსი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა დამოუკიდებელი მონაწილეობის ხელშეწყობა“.

ცესკოში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ საარჩევნო ადმინისტრაციის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებებისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები. 2025 წლის 7 მაისს, ჯგუფის შეხვედრაზე განხილული იქნა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გამოცდილება და 2025 წლის არჩევნებისთვის მიღებული ახალი რეგულაციები. შეხვედრის ფარგლებში, გაიმართა ხმის მიცემის ელექტრონული აპარატების დემონსტრირებაც.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21/02/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010240010.05.001.102506) მე-2 მუხლის შესაბამისად, ლიკვიდირდა **სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო** და მის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.** შედეგად, ადმინისტრაციის უფლებამოსილებად განისაზღვრა, მათ შორის, საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების სისტემის განვითარება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სისტემაში შექმნილი საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში მუდმივ პროფესიულ განვითარებას და ხელს უწყობს საჭიროებებზე მორგებული სისტემის დანერგვას.

საჯარო მოსამსახურეთა და დაინტერესებულ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და პროფესიული განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის ზრდის

უზრუნველსაყოფად, 2025 წელს განახლდა და ამოქმედდა ერთიანი ცენტრალიზებული სასწავლო პლატფორმა - elearning.hr.gov.ge, რომელიც აერთიანებს დისტანციურ საგანმანათლებლო რესურსებს, სასწავლო პროგრამებსა და კურსებს. აღნიშნული პლატფორმის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და მასზე განთავსებულია 10 ელექტრონული სასწავლო კურსი, რომელთა შორისაცაა შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კურსი, სახელწოდებით - „შშმ პირები საჯარო სამსახურში: როგორ შევქმნათ თანასწორი სამუშაო გარემო". აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას საჯარო სექტორში და მათი საჭიროებებისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდი წარმოადგენდა გარდამავალ ეტაპს, რომლის განმავლობაშიც ერთი მხრივ, ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი და ამავდროულად, მიმდინარეობდა სასწავლო პლატფორმის განახლება. შესაბამისად, პლატფორმა აქტიურ სამუშაო რეჟიმში ამოქმედდა 2025 წლის მიწურულს. შესაბამისად, ამ პერიოდიდან დღემდე შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კურსზე - „შშმ პირები საჯარო სამსახურში: როგორ შევქმნათ თანასწორი სამუშაო გარემო" დარეგისტრირდა 29 დაინტერესებული პირი.

2024 წელს დაიწყო და 2025 წელს დასრულდა **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრისა და ბიუროს ყველა ოფისის სერვისცენტრის თანამშრომლების ტრენინგი შშმ პირთა მომსახურების, კომუნიკაციისა და ქცევის ეტიკეტის საკითხებზე. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების, ეთიკური ქცევის ნორმებისა და პრაქტიკული მიდგომების შესწავლა, რაც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს უკეთ გაითვალისწინონ შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებები. ტრენინგის შედეგად, გადამზადდა ბიუროს 30 თანამშრომელი, რომლებიც უშუალოდ კომუნიკაციაში არიან ბიუროს სერვისებით მოსარგებლე პირებთან. აღნიშნული ინიციატივა ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება ღირსეული და არადისკრიმინაციული მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

ტრენინგ-პროგრამა ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკებს და მიზნად ისახავს სამედიცინო ექსპერტიზის პროცესში შშმ პირებთან ინდივიდუალური და პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას. ტრენინგის ფარგლებში, ასევე, გადამზადდა 35 ექსპერტი. შედეგად, შშმ პირები ბიუროს თბილისის სამედიცინო ექსპერტიზის, დასავლეთ საქართველოსა და აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტებში ისარგებლებენ მათ საჭიროებებზე მორგებული, ხარისხიანი და ღირსეული სამედიცინო საექსპერტო მომსახურებით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოციალური დაცვის სისტემის ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობას.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ შშმ პირთა სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის

დაუნის სინდრომისა და აუტიზმის მქონე პირების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებში.

2025 წელს, **სსიპ - საქართველოს საპენსიო ფონდის** მონაწილეთა მომსახურების განყოფილების თანამშრომლებისთვის, დაიგეგმა ტრენინგი, შშმ პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტის შესახებ. აღნიშნული, ხელს შეუწყობს, შშმ პირებისთვის სერვისების გაცემის თვალსაზრისით მომსახურების პროცესის კიდევ უფრო გამარტივებას და ზოგადად, მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ 2025 წელს ჩატარდა ერთი ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები", რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 10 მოსამართლე და სასამართლოს აპარატის 9 მოხელე.

2025 წელს, **საქართველოს გენერალურ პროკურატურაში** განხორციელდა 35 ტრენინგი, რის შედეგადაც გადამზადდა 598 თანამშრომელი. წინა წელთან შედარებით, შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა გაიზარდა 25%-ით, ხოლო გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა – 13%-ით. შშმ პირების მონაწილეობით არსებული საქმეების მონიტორინგისა და შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების საკითხებზე განხორციელდა 6 სასწავლო აქტივობა, სადაც გადამზადდა 59 პირი, მათ შორის 56 პროკურორი და გამომძიებელი, 1 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და 2 მრჩეველი.

ODIHR/OSCE-ის ვებინარის ფარგლებში გადამზადდა 2 პროკურორი, ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის ონლაინ კურსში მონაწილეობდა 23 პროკურორი და 2 მრჩეველი, ვარშავაში OSCE/ODIHR-ის სასწავლო ვიზიტზე იმყოფებოდა 1 პროკურორი, რომელიც PAHCT ტრენინგის ფორმატში გადამზადდა სერტიფიცირებულ ტრენერად, შშმ პირების უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის ტრენინგში – 27 პროკურორი და 3 გამომძიებელი მონაწილეობდა, ბავშვზე ძალადობის პრევენციის ტრენინგში – 1 კოორდინატორი, ხოლო HELP-ის სპეციალიზებულ კურსში – 15 პროკურორი და 5 გამომძიებელი გადამზადდა.

2025 წელს, პროკურორებსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრები. პროკურატურის ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია „შშმ პირთა უფლებების დაცვის" ქვე-ტაბში, ხოლო 3 დეკემბერს, შშმ პირთა საერთაშორისო დღეს, გაიმართა შეხვედრა DPO-ებთან და თემის წარმომადგენლებთან.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიაში, რომელიც 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე გაგრძელდა, პროკურატურამ განახორციელა 36 ღონისძიება. მათგან 20-მდე შეხვედრაში მონაწილეობდნენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. შეხვედრები გაიმართა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან,

სტუდენტებთან, საჯარო მოხელეებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია თანასწორობის, შშმ ქალებისა და გოგონების უფლებების, ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა საჭიროებების გათვალისწინებისა და სპეციალური სერვისების შესახებ. კამპანიის ფარგლებში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საანგარიშო პერიოდში, **მუნიციპალიტეტების** მიერ დაორგანიზდა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი და საჯარო მოსამსახურეთა ცოდნის გასაღრმავებელი აქტივობები შშმ პირთა უფლებებსა და საჭიროებების საკითხებზე. კერძოდ:

- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნის ფარგლებში, საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები გაიმართა ბოლნისის, ახალციხის, აბაშის, ბათუმისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში. შეხვედრებს ესწრებოდნენ დაუნის სინდრომის მქონე და სხვა შშმ პირები, ასევე მათი ოჯახის წევრები;
- „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ეფექტიანად განხორციელებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, გადამზადდნენ ლაგოდეხის, მცხეთის, თიანეთის, წალკის, ქარელის, გარდაბანის, საჩხერის, ვანისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების თანამშრომლები;
- 3 დეკემბერს, შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში, აბაშის მუნიციპალიტეტში გაიმართა დისკუსია შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსა და შშმ პირთა საბჭოს თანამშრომლობით, ქალაქში დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები. ასევე, თემატური ტრენინგები ჩაუტარდა ზესტაფონის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს 15 წევრს;
- შშმ პირთა უფლებების, კომუნიკაციის სტანდარტებისა და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ახალციხის, ბოლნისის, გურჯაანის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ინიციატივით, ჩატარდა 10 საინფორმაციო შეხვედრა შშმ პირებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. 16 შეხვედრა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით, მოწყვლად ჯგუფებთან 22 საინფორმაციო შეხვედრა და „პოზიტიური მშობლობის“ ფარგლებში — 13 ტრენინგი. სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ ჩატარებულია 15 ჯგუფური და 350-მდე ინდივიდუალური შეხვედრა, ინფორმაცია მიეწოდა 500-მდე მოქალაქეს;
- პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამასთან დაკავშირებულ შეხვედრებსა და ონლაინ ტრენინგებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტი;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით აუტიზმის საერთაშორისო დღეს, ბენეფიციარებს გადაეცათ სწავლების პროცესისთვის საჭირო ნივთები;

- სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაღის აღმზრდელი გადამზადდა 66 კრედიტ ქულიანი ტრენინგკურსით, რომელიც მოიცავდა 11 დღიან გადამზადებას, (აქედან 8 შშმ პირთა სპეც. აღმზრდელი);
- რუსთავის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, მშობლების ცნობიერების ამაღლებისა და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიზნით, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. ჩატარდა ტრენინგები აღმზრდელებისა და ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მონაწილემ. ასევე, სამი საბავშვო ბაღი აღიჭურვა სენსორული და ფიზიკური განვითარების რესურს ოთახებით;
- 2025 წელს საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციის მიერ ორგანიზებული სწავლების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში გადამზადდა 14 პირი.

ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით, 2025 წელს, აქტივობები განახორციელეს შემდეგმა მუნიციპალიტეტებმა: სიღნაღი, დმანისი, გორი, ხაშური, ქუთაისი, ამბროლაური, სენაკი, ხელვაჩაური.

II. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის მიმართულება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში მოქმედებს პირველადი შეფასების (ტრიაჟის) სისტემა, რომლის ფარგლებში ფსიქოლოგი აფასებს ყველა გადამისამართებულ შემთხვევას და განსაზღვრავს სირთულესა და კატეგორიას. 2025 წელს F კატეგორიაში, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობისა და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მოხვდა 319 შემთხვევა.

ცენტრში ფუნქციონირებს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომელიც ადგილზე ახორციელებს კრიზისული შემთხვევების შეფასებას, პირველად მართვას და რეკომენდაციების გაცემას. 2025 წელს, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, კრიზისული ინტერვენციის ფარგლებში, განხორციელდა 27 ვიზიტი სკოლებში, მათ შორის 10-მდე შემთხვევაში შშმ პირებთან დაკავშირებით.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა გააგრძელა სოციალური მუშაობის კომპონენტის დანერგვა და 2025 წელს დამატებით 11 საჯარო სკოლაში დაიწყო მუშაობა. შედეგად, სოციალური მუშაობა ხორციელდება უკვე 91 სკოლაში. ძირითადი მიმართულებები იყო: მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობა, ბულინგისა და სარისკო ქცევების პრევენცია, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა.

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №36 დადგენილების ფარგლებში, შშმ ბავშვის ან მკვეთრად გამოხატული შშმ პირის სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ განსხვავებული პაკეტით, რომელიც ითვალისწინებს როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ სერვისებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** (შემდგომში - ჯან.დაცვის სამინისტრო) მეშვეობით, შესაბამისი ლიმიტებისა და თანაგადახდების გათვალისწინებით:

1. ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით - ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი, ქირურგი. ექიმის დანიშნულებით, ამბულატორიულ დონეზე, შემდეგი სახის ინსტრუმენტული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფია, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდსასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპია (სისტემების მიხედვით, ტრანსაბდომინურად), გულმკერდის რენტგენოსკოპია/ რენტგენოგრაფია და ძვლების რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია. კომპიუტერული ტომოგრაფია ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან. თანაგადახდას არ ექვემდებარება საპენსიო ასაკის ვეტერანის ან მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება. ექიმის დანიშნულებით, ამბულატორიულ დონეზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ჰემოგლობინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დრო (INR), ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი TSH. შშმ პირთა სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმპ-ის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევებისა. ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობების, დასკვნებისა და რეცეპტების გაცემა (მათ შორის, ინკურაბელური პაციენტებისათვის ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების).
2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა).
3. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება - კრიტიკული მდგომარეობები (II-III დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა), სტაციონარში ხანგრძლივი დაყოვნება/ქრონიკული მოვლა და კომბუსტიოლოგია (თანაგადახდას არ ექვემდებარება). გადაუდებელი მდგომარეობები, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებსა და ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ მზრუნველობასთან

დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარის. თანაგადახდას არ ექვემდებარება შშმ ბავშვებისათვის, ასევე საპენსიო ასაკის ვეტერანისთვის ან მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება.

4. გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები – წლიური ლიმიტი 15 000 ლარი ითვალისწინებს 20%-იან, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან (ლიმიტის ფარგლებში). თანაგადახდას არ ითვალისწინებს ასევე კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები 0 – 5 წლის (ჩათვლით) ასაკის მოსარგებლეებისა და შშმ ბავშვებისათვის. ასევე თანაგადახდას არ ექვემდებარება საპენსიო ასაკის ვეტერანისთვის ან მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება.
5. ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და დიაგნოსტიკა (მათ შორის, დღის სტაციონარი), კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, ასევე, მინისტრის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტებით (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინკინაზის ინჰიბიტორები, თიროზინ კინაზას ინჰიბიტორები, ბისფოსფონატები) მკურნალობა და ზემოაღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები. მომსახურება (გამოკვლევები, პროცედურები, სხივური თერაპია) ანაზღაურდება სრულად, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე, წლიური 25 000 ლარის ლიმიტის ფარგლებში; ქიმიო, ჰორმონო და სიმსივნის საწინააღმდეგო (მათ შორის, ცენტრალიზებულად შესყიდული) მედიკამენტები ანაზღაურდება სრულად (ულიმიტოდ), მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე.
6. ინფექციური დაავადებების მართვა - თანაგადახდა შეადგენს 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა.
7. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანების შედეგად განვითარებული მდგომარეობის რეაბილიტაცია.
8. მნიშვნელოვნად გამოხატული და ზომიერად გამოხატული საქართველოს მოქალაქე შშმ პირების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, დაავადებათა შემდეგი ჯგუფების შესაბამისად: გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი (ტიპი 2), გლაუკომა, პარკინსონი და ეპილეფსია.
9. სამედიცინო დოკუმენტაციით დადასტურებული ქცევითი გამოწვევების და/ან კომუნიკაციის სირთულის მქონე, როგორც შშმპ სტატუსის მქონე, ასევე ამ სტატუსის

არმქონე საქართველოს მოქალაქეების, სრულად, თანაგადახდის გარეშე, სტომატოლოგიური მომსახურებით (ზოგადი ანესთეზიით) უზრუნველყოფა.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მოსახლეობას და მათ შორის შშმ მოსახლეობას მიეწოდება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრიორიტეტულ დაავადებებზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამები, როგორიცაა დიაბეტის მართვა, დიალიზი, იშვიათი დაავადებები, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვა.

2025 წლის თებერვლიდან ექიმი-ონკოლოგებისა და სამედიცინო დაწესებულებების ჩართულობით, ქიმიო/ჰორმონო და სხივური თერაპიის დროს ჩასატარებელი აუცილებელი გამოკვლევების ჩამონათვალი და მომსახურების ტარიფები განისაზღვრა. მოიხსნა ე.წ. სატარიფო არეალის პრინციპი და მომსახურება, ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, უწყების მიერ დადგენილი ტარიფებით ანაზღაურდება. მკურნალობის პროცესში აუცილებელ გამოკვლევებს კი სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

2025 წლის 30 აპრილიდან, ჯან.დაცვის სამინისტრომ დაიწყო პირველადი ჯანმრთელობის დაცვის (შემდგომში - პჯდ) განახლებული მოდელის დანერგვა, რომელიც სრულად მორგებული იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებებსა და მოლოდინებზე. პჯდ დონეზე თითოეული მოქალაქე მიიღებს პრევენციული, სკრინინგის, დიაგნოსტიკური და სამკურნალო სერვისების ფართო სპექტრს. პჯდ დაწესებულებებისთვის დაინერგება შედეგებზე დაფუძნებული და ასაკზე მორგებული კაპიტაციის დაფინანსების სისტემა, რისთვისაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა დამატებით 120 მლნ. ლარი. პილოტური პროექტი დაიწყება ექვს დაწესებულებაში.

2024 წელს ევროკავშირისა და გაეროს ორგანიზაციების პროექტის ფარგლებში, დაიწყო 60 სოფლის ამბულატორიის ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვა, რომელიც დასრულდა 2025 წლის ივლისში. 110 საპილოტე ამბულატორიაში ტელემედიცინის სერვისები მიიღო 4 649 ზე მეტმა სოფლად მცხოვრებმა ბენეფიციარმა. აღნიშნული წარმოადგენს სპეციალისტების მიერ ადგილზე მაღალხარისხიანი სერვისების მიწოდების საშუალებას.

ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს სამედიცინო დაწესებულებების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი, რაც წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმს. 2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საერთაშორისო აკრედიტაცია წარმატებით გაიარა ქვეყნის სტაციონარული დაწესებულებების 86%-მა.

მიმდინარეობს სანებართვო პირობების განახლება და აქცენტი კეთდება შშმ პირების ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. დადგინდა სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი მომსახურების ტექნიკური რეგლამენტის პირობები.

სამედიცინო პერსონალისთვის განისაზღვრა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულებები.

2025 წელს შესაძლებელი გახდა მართული შესვლის შეთანხმების პრინციპით სპინალურ-კუნთოვანი ატროფიისა და გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს - რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ეროვნულ ცენტრს შორის ყოველწლიურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თავდაცვის სისტემის დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურებით და გადაადგილებისათვის საჭირო სხვა დამხმარე საშუალებებით. საანგარიშო პერიოდში, 20 დაჭრილ/დაშავებულ მოსამსახურეს გაეწია 30 საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება.

სამინისტროს სისტემის დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან თვალის პროთეზით. საანგარიშო პერიოდში, 7 მოსამსახურეს ჩაუტარდა თვალის რეპროთეზირება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2023 წლის ნოემბრიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების („საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 7 ნოემბრის №944 ბრძანება) საფუძველზე ფუნქციონირებს **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს** სისტემის თანამშრომელთა ფინანსური დახმარების საკითხთა შემსწავლელი კომისია და დამტკიცებულია სისტემის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების განხორციელების წესი, რომლის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების განხორციელება და ფინანსური დახმარება. აღნიშნული სოციალური დაცვის წესები ვრცელდება სისტემის მასშტაბით ყველა თანამშრომელზე. საანგარიშო პერიოდში კომისიის გადაწყვეტილებით სისტემაში დასაქმებულ თანამშრომლებზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაიცა შესაბამისი ფინანსური დახმარება.

2025 წელს, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე გაწეულ იქნა შესაბამისი კონსულტაციები. სამსახურის მიერ შეთანხმდა 301 ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები, რომლებშიც სრულად იქნა გათვალისწინებული შშმ პირებზე ორიენტირებული უსაფრთხოების ღონისძიებები.

2025 წლის განმავლობაში, **სსიპ - საქართველოს საპენსიო ფონდის** მიერ, შშმ პირის სტატუსის საფუძვლით პენსია დაენიშნა 1818 პირს; ხოლო 2025 წლის განმავლობაში, საპენსიო სქემაში, ხელახლა/ნებაყოფლობით გაწევრიანდა 194 შშმ პირი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის სერვისით, 2025 წელს, ჯამურად ისარგებლა 9 312- შშმ პირმა. კრწანისის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილების მიერ, შშმ პირთა მომართვის საფუძველზე დაფინანსდა 396 განცხადება. სამგორის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია 82 შშმ პირს. სამგორის რაიონის გამგეობას დაევალა ორხევის სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის გამოყოფა, ოჯახზე თვეში არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული პერიოდისთვის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ბინის ქირის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფილია 70 ოჯახი, რომელთა შორის 27 ოჯახის წევრი შშმ პირია.

2025 წლის ბიუჯეტიდან ისნის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილების მიერ დაფინანსდა 1 264 შშმ პირი. 2025 წლის ბიუჯეტიდან ვაკის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილების მიერ დაფინანსდა 323 შშმ პირი. საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ, 2025 წელს, სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდა 93 შშმ პირს, მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იყო 82 ბენეფიციარი და მიზნობრივი ფულადი დახმარება გაეწია 205 შშმ პირს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-100 დადგენილების („დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“) საფუძველზე ბინის ქირის კომპენსაცია მიიღო 13 შშმ სტატუსის მქონე პირმა.

საბურთალოს რაიონში მოქმედებს 5 უფასო სასადილო, რომლებითაც ყოველდღიურად სარგებლობენ სოციალურად დაუცველი და შშმ პირები. მათ წელიწადში ორჯერ, საახალწლოდ და აღდგომის დღესასწაულზე, გადაეცემათ სასაჩუქრე ნობათები. ასევე, 2025 წელს ორჯერ უსინათლოთა კავშირის 59 წევრს გადაეცა სააღდგომო და საახალწლო სასაჩუქრე პაკეტები.

2025 წელს, დიდუბის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილების მიერ დაფინანსდა 239 შშმ პირი. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დახმარებით სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 29 შშმ პირმა, ხოლო მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იყო 49 ბენეფიციარი. მიზნობრივი მატერიალური დახმარება გაეწია 200 შშმ პირს. ბინის ქირის კომპენსაციის პროგრამით უზრუნველყოფილი იყო 32 ოჯახი, რომელთა წევრები არიან შშმ პირები. სადღესასწაულო სასაჩუქრე ნობათები გადაეცა უსინათლოთა კავშირის 40 ბენეფიციარს და 10 შშმ ვეტერანს.

2025 წელს, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დახმარება გაეწია ჯამში 341 შშმ პირს. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, დახმარება გაეწია ჯამში 772 შშმ პირს. აგრეთვე ბინის ქირის კომპენსაცია აუნაზღაურდა 15 შშმ პირს/ოჯახს. მთაწმინდის რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილების მიერ შშმ პირთა მომართვის საფუძველზე დაფინანსდა: სამედიცინო მომსახურებით - 50 შშმ პირი; მედიკამენტებით - 99 შშმ პირი;

მიზნობრივი მატერიალური დახმარებით - 146 შშმ პირი; სადღესასწაულო სასაჩუქრე ნობათით (სააღდგომო, საახალწლო) – 39 შშმ პირი (უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარები).

თელავის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირებისა და ბავშვებისთვის განხორციელდა რამდენიმე სოციალური პროგრამა: სადღესასწაულო საჩუქრებით დასაჩუქრდა 188 შშმ პირი და 50 შშმ ბავშვი; ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსებით ისარგებლა 188 შშმ პირმა და 50 შშმ ბავშვმა; სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები მიეწოდა 205 ბენეფიციარს; განხორციელდა აუტისტური სპექტრის მქონე 52 ბავშვის რეაბილიტაცია; ჰიგიენური საშუალებები გადაეცა 138 ბენეფიციარს; ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის გამოიყო დახმარება, რომლითაც ისარგებლა 10 შშმ ბავშვმა და 11 მშობელმა.

ბათუმის მუნიციპალიტეტში მერიის სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მიმართულება: საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის სუბსიდირება - 5 შშმ პირისთვის, მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება - 36 ბენეფიციარისთვის; ფინანსური დახმარება - 5 საზოგადოებრივ ორგანიზაციის პროგრამისთვის, რომლებმაც განახორციელეს სმენის დარღვევის მქონე 2-10 წლის ასაკის ბავშვთა რეაბილიტაცია, და რომლითაც ისარგებლა 15 ბავშვმა; მედიკამენტების შესაძენად დახმარებით ისარგებლა 2000 შშმ პირმა.

თიანეთის მუნიციპალიტეტში - 73 შშმ პირზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება. სანატორიულ საკურორტო მომსახურებით კი ისარგებლა 1 შშმ პირმა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში - სამედიცინო-დიაგნოსტიკური კვლევებისთვის დაფინანსდა 11 ბენეფიციარი; აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაციის დაფინანსებით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა; მედიკამენტებით უზრუნველყოფისთვის დაფინანსდა 12 ბენეფიციარი; დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე თირკლმის ქრონიკული დააადების მქონე პაციენტების ყოველთვიური დახმარებით სარგებლობდა 15 ბენეფიციარი; ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისით ისარგებლა 29 ბენეფიციარმა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, 2025 წლის განმავლობაში, დახმარება გაეწია 408 შშმ პირს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, განხორციელდა რამდენიმე სოციალური პროგრამა: უსინათლოთა დახმარებით ისარგებლა 25 ბენეფიციარმა, ჰემოდიალიზზე დამოკიდებულთა ყოველთვიური ფულადი დახმარებით დაფინანსდა 15 ბენეფიციარი, ხოლო 0-18 წლამდე შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამაში მონაწილეობდა 73 ბენეფიციარი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლა 17 ბენეფიციარმა, ხოლო ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა მხარდაჭერით – 34.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შშმ პირების მხარდასაჭერად ბავშვთა ცენტრებს „ორიონი“ და „ცხოვრების მეგზური“ გადაეცა საკანცელარიო ნივთები და საჩუქრები, აგრეთვე სპეციალური მასალები ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად.

ქედის მუნიციპალიტეტში, ეტლით მოსარგებლე და მწოლიარე 90-მა ბავშვმა მიიღო ყოველვიური 150-ლარიანი ფინანსური დახმარება, ხოლო 18 წელს ზემოთ 112-მა ბენეფიციარმა – ყოველთვიური 250 ლარი; განსაკუთრებული კვების საჭიროებების მქონე 2 ბავშვს გაეწია დახმარება, ხოლო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით ერთჯერადი 200-ლარიანი ვაუჩერი გაიცა 731 ბენეფიციარზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით ისარგებლა 1822 შშმ პირმა. „მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 500 შშმ პირს. დამატებით, შპს - ქობულეთის ტრანსრეგულირების მიერ უზრუნველყოფილი იყო შშმ პირთა უფასო, გადაადგილება მუნიციპალური ტრანსპორტით, ასევე განხორციელდა მათი ინდივიდუალური გადაყვანა სხვადასხვა დანიშნულების ადგილზე.

შუახევის მუნიციპალიტეტში ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებისთვის აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის პროგრამით 65-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. მოვლის საჭიროების მქონე და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული პირებისთვის განკუთვნილი ფინანსური დახმარების პროგრამით მხარდაჭერა მიიღო 130-მა შშმ პირმა. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 1 713 ბენეფიციარს, ხოლო სპეციფიკური სამკურნალო პროდუქტების პროგრამით 4 ბენეფიციარმა ისარგებლა. ამასთან, კლიმატოთერაპიისა და საკურორტო-სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული იყო 16 ბავშვი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა დღის ცენტრი, სადაც 17 ბენეფიციარს ყოველდღიურად უზრუნველყოფენ სრულფასოვანი კვებით და სთავაზობენ სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებს.

ხულოს მუნიციპალიტეტში ჰემოდიალიზის ცენტრის 18 პაციენტს და სპეციალური მოვლის საჭიროების მქონე 222 ბენეფიციარს ფინანსური დახმარება გაეწია. ხოლო მედიკამენტების შესაძენად დახმარება მიიღო 1250-მა შშმ პირმა; პერსონალური ასისტენტის სერვისით ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური ყოველთვიური პროგრამების ფარგლებში, ფულადი დახმარება გაეწია 18 წლამდე ასაკის 63 შშმ პირს, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ 15 ბენეფიციარს და ხელოვნური საკვები პროდუქტების საჭიროების მქონე 12 პირს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მხედველობისა და სმენის დაქვეითებულთა დახმარებას, აუტისტური სპექტრის მქონე პირების ფინანსურ მხარდაჭერას და ინფრასტრუქტურის ადაპტაციას. შშმ პირები

სარგებლობდნენ „სათნოების სახლისა“ და „თანადგომის“ სერვისებით, იღებდნენ საკვებს, უფასო პურს, დამატებით ფინანსურ დახმარებას და ზამთრის პერიოდში – საშეშე მერქანს. 2024–2025 წლებში მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 11 ოჯახს აუშენდა მცირე სახლი, მათ შორის 7 ოჯახში შშმ პირი ცხოვრობს.

ვანის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2025 წლის განმავლობაში, დახმარება მიიღო 330 შშმ პირმა/ბავშვმა.

ხონის მუნიციპალიტეტში გაიხსნა აუტიზმისა და ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი – ა(ა)იპ - რეაბილიტაციის ცენტრი ნაიოს ფილიალი. ბენეფიციარები პირველ ეტაპზე სარგებლობენ უფასო სახელმწიფო პროგრამებით, რაც უზრუნველყოფს მათთვის საჭირო რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სერვისებს.

ახმეტის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შეიქმნა ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს სპეციალისტთა მომსახურებებს (ქცევითი თერაპევტი, ფსიქოლოგი, ნევროლოგი, ფიზიოთერაპევტი). ამავე წელს დაიწყო ფუნქციონირება აბილიტაცია-რეაბილიტაციის ცენტრმა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და 79 შშმ ბავშვს გაეწია მომსახურება. ასევე, გაიხსნა ქართულ-გერმანული თერაპიული ცენტრი „ლეგატო“, სადაც 18 ბავშვი სარგებლობს მუსიკალური თერაპიის კურსებით.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, სოციალური პროგრამის სარგებლობის ფარგლებში, დახმარება გაეწია 161 შშმ პირს, სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურებით ისარგებლა 39 ბენეფიციარმა, ხოლო სოფელ არალში მოქმედი საინტეგრაციო ცენტრი ემსახურება 7 შშმ პირს.

ახალციხის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირთა სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართული იყო 228 ბენეფიციარი. დამატებით, მხედველობის მხრივ მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის განხორციელდა ხმოვანი წნევის აპარატების შეძენა და გადაცემა, რითაც ისარგებლა 30 ბენეფიციარმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფილ იქნა 115 შშმ პირი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, განხორციელდა დიალიზის პროგრამით მოსარგებლეთა ტრანსპორტირება, ფინანსური დახმარება გაეწია 584 შშმ პირს, ხოლო 44 სარგებლობს უფასო სასადილოთი. ქირით უზრუნველყოფის პროგრამით დახმარება მიიღო ერთმა ოჯახმა. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში გადაცემული იქნა 9 ეტლი, პერსონალური ასისტირების პროგრამით სარგებლობს 12 ბენეფიციარი, ხოლო აღრიცხულია 94 სსსმ ბავშვი. ამავე წელს ქალაქ წნორში ამოქმედდა დიალიზის სერვისი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, მერიის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით ერთჯერადი 500-ლარიანი დახმარება მიიღო 35 შშმ პირმა.

აბაშის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, სხვადასხვა სოციალური და სამედიცინო პროგრამებით სულ 287 ბენეფიციარი დაფინანსდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირებისთვის განხორციელდა სოციალური და სამედიცინო პროგრამები, რომლებითაც ისარგებლა 1005 ბენეფიციარმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირებისთვის განხორციელდა მრავალმხრივი მხარდაჭერა: დღის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 6 ბავშვმა, 20 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება საკურორტო სეზონზე, ხოლო 2 პირს გადაეცა სპეციალური ინვენტარი და დამხმარე საშუალება. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 274 ბენეფიციარს, ხოლო აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე 53 ბავშვს მიეწოდა მიზნობრივი მხარდაჭერა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის დაფინანსდა ორი მობილური გუნდი, რომლებიც თვეში 100 პაციენტს უწევენ მომსახურებას ბინაზე ვიზიტისა და მედიკამენტოზური მკურნალობის გზით. დიალიზით მოსარგებლე 37 შშმ პირი უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტით, ხოლო ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება დაუფინანსდა 124 ბენეფიციარს. ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებული 9 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იყო საჭირო დაკვირვებითა და მკურნალობით.
ფინანსური დახმარება გაეწია 0-დან 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შშმ პირებსა და ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ხანდაზმულებს, პროგრამით ისარგებლა 115 ადამიანმა. მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით ისარგებლა 2000 ბენეფიციარმა, მათ შორის 1020 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. სამედიცინო დახმარების თანადაფინანსებით ისარგებლა 260 ბენეფიციარმა.

გარდა ამისა, შშმ სტატუსის მქონე (18 წლამდე) ბავშვთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 97 ბენეფიციარმა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, სოციალური პროგრამებით ისარგებლა 293-მა ბენეფიციარმა.

მესტიის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირებსა გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარებები: 4 ვეტერანს თითოეულს 500 ლარი, 39 მკვეთრად გამოხატულ შშმ პირსა და 5 შშმ ბავშვს - თითოეულს 200 ლარი, ხოლო 17 ცერებრული დამბლით დაავადებულ პირს - თითოეულს 1000 ლარი. დამატებით დაფინანსდა 34 განაცხადი ბავშვთა დიაგნოსტიკისა და თერაპიებისთვის. „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრმა“ მომსახურება გაუწია 45 ბენეფიციარს.

სენაკის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, სოციალური დახმარების პროგრამებით დაფინანსდა 158 შშმ პირი. 12-მა ბენეფიციარმა მიიღო შინმოვლის მომსახურება. 135 პირს გაეწია

სამედიცინო და სარეაბილიტაციო დახმარება. 180 შშმ პირი უზრუნველყოფილი იყო უფასო მედიკამენტებით, 32 პირი დაფინანსდა დიალიზისთვის ტრანსპორტირებით, ხოლო 40 ბავშვს აუტიზმის სპექტრის რეაბილიტაციის პროგრამით გაეწია მომსახურება.

ფოთის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირებისა და ბავშვებისთვის განხორციელდა მრავალმხრივი მხარდაჭერა: კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად ისარგებლა 113-მა ბენეფიციარმა, 12 უსინათლო პირს გადაეცა ხმოვანი წნევის აპარატი, 200 ბავშვს – სადღესასწაულო დახმარება. დამატებით, ფინანსური დახმარება გაეწია დაუნის სინდრომის მქონე 5 პირს, აგრეთვე 11 ეპილეფსიით დაავადებულ და 10 დიაბეტით დაავადებულ ბავშვს. უზრუნველყოფილი იყო პერსონალური ასისტენტი 10 პირისთვის, გამცილებელი 80 უსინათლო პენსიონერისთვის, ჟესტური ენის სწავლება 12 ბენეფიციარისთვის. დამხმარე საშუალებები გადაეცა 25 პირს, დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობდა 23 არასრულწლოვანი. ტრანსპორტის სუბსიდიით სარგებლობდა 160 უსინათლო, 33 სმენადაქვეითებული და 20 დღის ცენტრის ბენეფიციარი ბავშვი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, მედიკამენტოზური მკურნალობის დახმარება მიიღო 132 შშმ პირმა, სწავლა დაუფინანსდა 8 ბენეფიციარს, ერთჯერადი დახმარება 755-მა ბენეფიციარმა მიიღო, ხოლო შშმ ბავშვების სამედიცინო მომსახურება გაეწია 15 ბენეფიციარს.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შშმ პირებსა და ბავშვებს სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარება გაეწიათ. აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 80-მა ბენეფიციარმა მიიღო პროდუქტების პაკეტი თითოეულზე 50 ლარის ღირებულებით. ერთჯერადი დახმარება მიეწოდა 42 შშმ ბავშვს და 481 სრულწლოვან შშმ პირს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში სულ 1627 შშმ ბენეფიციარი იყო ჩართული. მათგან 1029 ბენეფიციარმა ისარგებლა სხვადასხვა სოციალური დახმარებით.

დმანისის მუნიციპალიტეტში, შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ორი ოჯახი დაკმაყოფილდა ქირით. ხოლო 16 ოჯახი სარგებლობდა ყოველთვიური სოციალური დახმარებით. მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ - ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებასთან თანამშრომლობით გახსნა „დმანისის დღის და ადრეული განვითარების ცენტრი“, რომელიც 2025 წლის ივნისში ამოქმედდა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ - მხარდაჭერის სახლმა 12 ბენეფიციარს შინმოვლის სერვისი მიაწოდა.

რუსთავის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, ჯანმრთელობისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებით დაფინანსდა 2125 ბენეფიციარი სამედიცინო მომსახურებით და 1852 ბენეფიციარი - მედიკამენტებით, მათ შორის 525 შშმ პირი. სპეციფიკური მხარდაჭერის ფარგლებში დახმარება გაეწია დიალიზით დაავადებულ 70 ბენეფიციარს, საცხოვრებელი

პირობების გაუმჯობესებით – 80 ოჯახს, ხოლო საკურორტო მომსახურებით – 266 შშმ ბავშვს. სოციალური შეღავათებით ისარგებლა 153 შშმ პირმა კომუნალურ გადასახადებზე, 52 უსინათლო ბენეფიციარმა - გამცილებლის სერვისით და 1020-მა - მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით. „შინ მოვლის" პროგრამით განხორციელდა 4300-ზე მეტი ვიზიტი 44 ბენეფიციართან, სადღესასწაულო საჩუქრები გადაეცა 185 შშმ პირს, ხოლო ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფილი იყო 70 ბენეფიციარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა სახის მხარდაჭერა შშმ პირებისა და ვეტერანებისთვის. ფინანსური დახმარება გაეწია 9 შშმ და ვეტერანის სტატუსის მქონე პირს. ერთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო 15 მკვეთრად გამოხატული მხედველობითი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარმა. ფულადი დახმარება გაეწია 34 შშმ და მინდობით აღზრდაში მყოფ არასრულწლოვანს. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განხორციელდა 7 ეტლით მოსარგებლე ბენეფიციარისთვის. გარდა ამისა, საახალწლო სასაჩუქრე პაკეტები გადაეცა 77 შშმ სტატუსის მქონე ბენეფიციარს, სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტები —77 ბენეფიციარს, ხოლო 12 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იყო ერთჯერადი კვებით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით, ისარგებლა 3 137-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა.

კასპის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, მხედველობითი შეზღუდვის მქონე 73 ბენეფიციარმა მიიღო ერთჯერადი 600 ლარიანი დახმარება, ორმა კიდურებ ამპუტირებულმა პირმა – 500-500 ლარი, ხოლო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 14-მა შშმ პირმა – 900 ლარი. საკურორტო სარეაბილიტაციო მომსახურებით ისარგებლა 7-მა შშმ ვეტერანმა, თითოეულმა 1000 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტი ასევე ერთვებოდა დამხმარე საშუალებებისა და ეტლების თანადაფინანსებაში, ხოლო სხვადასხვა დიაგნოზის მქონე შშმ პირებს გაეწიათ 400 ლარის ერთჯერადი დახმარება და სარეაბილიტაციო მომსახურება წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. ა(ა)იპ - მხარდაჭერის სახლთან გაფორმებული ხელშეკრულებით 20 ხანდაზმულ ბენეფიციარს მიეწოდა შინმოვლის სერვისი, ხოლო აგვისტოდან დაინერგა პერსონალური ასისტენტის პროგრამა, რომლის ფარგლებში წლის ბოლოსთვის 12 ბენეფიციარი სარგებლობდა სერვისით.

III. დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2 ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟდა შშმ პირთათვის ადაპტირებული ლიფტი.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, გასულ წელს, ექსპლუატაციაში მიღებული იქნა ქალაქ ბათუმში მდებარე რეგიონალური ოფისის (მის. ადლიის ქ. 102ა) სამსართულიანი შენობა

და ქალაქ ფოთში მდებარე აეროლოგიური სადგურის (დემეტრე თავდადებულის ქ. 85ა) ერთსართულიანი შენობები, რომლებიც სრულებით არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ **ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში** მოეწყო ადაპტირებული საგამოფენო სივრცე.

თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, კერძოდ საბადურის ტყის უბანზე დასრულდა შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის, კერძოდ ექვსი ერთეული საპირფარეშოს მოწყობა. ასევე, მიმდინარეობდა ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ადაპტირებული საველე ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2025 წელს მიმდინარეობდა **სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს** ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განახლება შშმ პირთა შეუფერხებელი გადაადგილებისთვის, მათ შორის განახლდა სააგენტოს ტერიტორიაზე არსებული ადაპტირებული ავტოსადგომი. აგრეთვე, სააგენტოში ფუნქციონირებს ადაპტირებული ლიფტი და შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ- შემოსავლების სამსახურის მიერ, 2025 წლის განმავლობაში, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე მომზადებულია 11 ვიდეო ინსტრუქცია. როგორც ახალი, ასევე განახლებული ვიდეო ინსტრუქციები სურდო ენაზე თარგმნილია და საჯაროდ განთავსებულია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - აწარმოე საქართველოში აგრძელებს „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში, რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში, საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით ჩართულ იმ კომპანიებს, რომელთა 50%-ზე მეტი წილის მესაკუთრე არის საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირი, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ 5 პროცენტით გაზრდილი თანადაფინანსებით (არაუმეტეს 95%).

ამასთან, ყველა მოქმედი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი (თბილისში, თელავში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში) ადაპტირებულია შშმ პირთათვის, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში, საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა თბილისში, ახალციხესა და ქუთაისში.

2025 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ**, საქართველოს აეროპორტებში, განახორციელა შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი. შედეგად, შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით, შემოწმდა საქართველოში არსებული ყველა მოქმედი აეროპორტი (3 საერთაშორისო - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და 3 ადგილობრივი - მესტია, ამბროლაური, ნატახტარი).

ამას გარდა, სააგენტომ მოახდინა ოფიციალური ვებ-გვერდის - www.gcaa.ge ადაპტირება შშმ პირებისთვის. კერძოდ, 2025 წელს განხორციელდა ხელმისაწვდომობის რეჟიმების (ეპილეფსიის უსაფრთხო რეჟიმი; ხედვის დარღვევების რეჟიმი; კოგნიტური შეზღუდვების რეჟიმი; ADHD-მეგობრული რეჟიმი; უსინათლოობის რეჟიმი) ინტეგრაცია, ასევე, ვებგვერდის სტრუქტურისა და დიზაინის შესაბამისობა Web Content Accessibility Guidelines (WCAG) სტანდარტებთან.

სს - **საქართველოს რკინიგზასა** და მისი კონტრაქტორი კომპანიების ვებ-გვერდებზეც ხორციელდება შშმ ეტლით მოსარგებლე პირთა საჭიროებებზე ადაპტირებული ადგილების რეალიზება, მხოლოდ თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებაზე. ამასთან, გრძელდება მუშაობა შშმ პირისა (რომელსაც აღნიშნული სტატუსი დატანილი აქვს პირადობის მოწმობაზე) და მისი ასისტენტისთვის შეღავათიანი ბილეთის შეძენის მექანიზმის დანერგვის მიზნით.

2025 წელს, დაიწყო ოზურგეთის სამგზავრო ბაქნის ადაპტირების პროცესი. ამასთან, განხორციელდა 9 სამგზავრო ბაქნის (ძეგვი, ქსანი, გომი, კორტანეთი, ფარცხანაყანევი, აგურის ქარხანა, ჭიათურა, მწვანე კონცხი, ბოტანიკური ბაღი) პროექტირება, რომლებიც, მშენებლობის შემდეგ ადაპტირებული იქნება შშმ და ეტლით მოსარგებლე პირების საჭიროებებზე.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 29 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი - 508-IIმს-XIმპ; სარეგისტრაციო კოდი - 310010010.05.001.10260; მიღების თარიღი - 29/04/2025), საქართველოს სარკინიგზო კოდექსს დაემატა 37[5] მუხლი, რომლის თანახმადაც, სარკინიგზო საწარმომ ან/და რკინიგზის სადგურის მენეჯერმა შშმ პირებისა და გადაადგილების შეზღუდვის შესაძლებლობის მქონე პირების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, უნდა შეიმუშაოს მატარებლით მგზავრობის არადისკრიმინაციული წესები შშმ პირის, მისი დამხმარე პირისა და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირის გადასაყვანად. აღნიშნული კანონის შესაბამისად, შშმ პირისა და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, დამატებითი მოთხოვნები და წესები განისაზღვრება რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით.

სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტომ მოამზადა რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას Directive (EU) 2021/782-თან („ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2021 წლის 29 აპრილის რეგულაცია (EU) 2021/782 რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“). წესი, რომელიც 2026 წლის 1 მაისამდე დამტკიცდება, დეტალურად დაარეგულირებს შშმ და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა უფლებებს სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობისას.

ასევე, სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოსა და სს - საქართველოს რკინიგზას შორის, 2024 წლის 14 ივნისს გაფორმებულ №1370/2024 საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში შეტანილი 2025 წლის 31 დეკემბერის ცვლილების (შეთანხმება № 1370/2024-

5) თანახმად, ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული პირების გადაყვანა დისკრიმინაციის გარეშე, ჰყავდეს შესაბამისი პერსონალი და უზრუნველყოს მათი სპეციალური გადამზადება.

დამატებით, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მისაღებ სივრცემდე მისასვლელი მონაკვეთი სრულად ადაპტირდა; დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტი და მოეწყო ლიფტამდე მისასვლელი ბილიკი.

საანგარიშო პერიოდში, ქ. ახალციხეში, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს** სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის ახალი ოფისი აშენდა, რომელიც სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებებზე. 2025 წელს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, შშმ პირთა მომსახურებისთვის განხორციელდა დამატებითი ტექნიკის „Ambulift"-ის (ელექტრო ეტლი და სპეც. ტექნიკა საჰაერო ხომალდში შშმ-პირის ჩასხდომისათვის განკუთვნილი სპეციალური ტრანსპორტი ამწით) შესყიდვა და ექსპლუატაციაში გაშვება. ამავე აეროპორტში, განხორციელდა შშმ პირთა მომსახურების აგენტის 8 ახალი საშტატო ერთეულის (ცვლაში 2 თანამშრომელი) დამატება. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს აეროპორტში, შშმ პირების უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ აქტიურად გაგრძელდა მუშაობა ვებ-გვერდის განახლება/მოდერნიზების მიმართულებით, შესაბამისი ინფორმაციისა და ვიზუალური ეფექტის (შრიფტი, ფერები) მოძიება. ასევე მიმდინარეობდა სამინისტროს სისტემაში მოქმედი სსიპ-ების ვებ-გვერდების ფუნქციონალის შშმ პირთა საჭიროებებზე ადაპტირების პროცესი.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, საანგარიშო პერიოდში, მხარდაჭერილი იყო სხვადასხვა აქტივობა, რომელიც ემსახურებოდა შშმ პირთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

პირველად საქართველოში უსინათლო და მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის **სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის** სივრცე ადაპტირებულია, მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ სივრცეში ხმოვანი გიდის მეშვეობით. შესაძლებელი გახდა მხატვრების გამოფენილი ნამუშევრების გაცნობა აუდიო დესკრიფციის თანხლებით.

გაგრძლედა მუშობა **სსიპ - ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის** ექსპოზიციაში წარმოდგენილი ექსპონატთა აუდიოაღწერების შექმნის მიზნით. აღნიშნული აქტივობა საშუალებას გვაძლევს მოხდეს ადაპტირება ექსპოზიციაში წარმოდგენილი სამუზეუმო მასალების, სენსორული დარღვევის მქონე პირთათვის. 2025 წელს, შეირჩა 10 ექსპონატი, მოხდა მათი დეტალური აღწერა.

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების უმრავლესობა, ისევე როგორც თეატრებისა და სახელოვნებო-საგანმანათლებლო, საგამოფენო სივრცეების შენობების უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ ადაპტირებული და მორგებულია შშმ პირთა საჭიროებებზე.

2025 წელს, საქართველოს **ეროვნულ გალერეაში** განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა შშმ მოსწავლეებისათვის - „ფორმები ჩვენს გარშემო". პროგრამის მიზანი იყო მუზეუმის სივრცეში ფორმებისა და სხეულის აღქმის გაღრმავება, მოძრაობითი უნარებისა და ბალანსის განვითარება, ფანტაზიისა და სივრცითი აზროვნების სტიმულირება, ასევე თანატოლებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა. აქტივობები მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას, შემოქმედებითი და ინკლუზიური გარემოს პირობებში დაეკავშირებინათ საკუთარი სხეული, მოძრაობა და გარემო სივრცე ხელოვნების ნიმუშებთან, გაეძლიერებინათ თვითგამოხატვის უნარები და ემოციური ჩართულობა კულტურულ გარემოში.

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო პლატფორმებსა და სასკოლო ლიტერატურის გვერდებზე განხორციელდა დიზაინის ცვლილება, კერძოდ, ტექსტის საწყისი შრიფტი გაიზარდა 16 pt-მდე, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მასალის კითხვადობას. მერაბ მამარდაშვილის ციფრულ ბიბლიოთეკას დაემატა „ჟესტების მოკლე ლექსიკონი", რაც ხელს შეუწყობს სმენადაქვეითებული პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, 2025 წელს, შშმ პირთა პანსიონატების ინდივიდუალური დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შესაბამისად, დუშეთის პანსიონატის დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში, განხორციელდა 15 ბენეფიციარის გადაყვანა ზუგდიდის, წყალტუბოსა და დუშეთის მცირე საოჯახო ტიპის ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში. აღნიშნული პროცესი განხორციელდა ინდივიდუალური შეფასებისა და საჭიროებებზე მორგებული გეგმის საფუძველზე, ბენეფიციართა ინტერესებისა და კეთილდღეობის მაქსიმალური დაცვით.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ასევე ბედიანის შშმ პირთა პანსიონატის სივრცითი და ფუნქციური მოდერნიზაცია, რომელიც მოიცავდა პანსიონატის ტერიტორიაზე სამი ახალი საცხოვრებელი სახლისა და ერთი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას. დასრულდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო ახლად აშენებული ინფრასტრუქტურა სრულად აღიჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ტექნიკური საშუალებებით. მიმდინარე პროცესის პარალელურად, განხორციელდა ძევრის პანსიონატის შეფასება/შესწავლა. შედეგების საფუძველზე, განხილული იქნება დეინსტიტუციონალიზაციის/საცხოვრებელი გარემოს არსებითი გაუმჯობესების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებებზე ორიენტირებული ზრუნვის მოდელის შემდგომ განმტკიცებას.

ყოველწლიურად იზრდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ბიუჯეტი და მრავალფეროვანი ხდება პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მომსახურებები. 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (76 350 000) შედარებით გაიზარდა დაახლოებით 25%-ით და შეადგინა 95 000 000 ლარი, (ხოლო წლის ბოლოსკენ დაზუსტებული ბიუჯეტი გახდა 99 951 850 ლარი) აღნიშნული ზრდა ასახავს როგორც პროგრამის პრიორიტეტულ მნიშვნელობას, ისე მომსახურებათა ხელმისაწვდომობისკენ მიმართულ სტრატეგიულ მიდგომას.

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე **მუნიციპალიტეტებისათვის** განხორციელდა „პერსონალური ასისტენტით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის დელეგირება. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს დეცენტრალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაბიჯს და ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციურ და ფინანსურ გაძლიერებას, აგრეთვე მუნიციპალურ დონეზე სოციალური მომსახურებების მიწოდების ეფექტიანობისა და ოპერატიულობის ზრდას. ქვეპროგრამის გადაცემით ჩამოყალიბდა სოციალური მომსახურების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის უფლებამოსილების დელეგირების პირველი პრეცედენტი, რაც ქმნის საფუძველს სოციალური დაცვის სისტემის ადგილობრივ საჭიროებებზე მეტად მორგებული სერვისების დანერგვისთვის.

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პერსონალური ასისტენტის მომსახურების გეოგრაფიული არეალი და აღნიშნული სერვისი, 2024 წელთან შედარებით, დაინერგა დამატებით 16 მუნიციპალიტეტში: შიდა ქართლში ხუთი მომსახურება (გორი, ქარელი 2, კასპი, ხაშური); ქვემო ქართლში შვიდი მომსახურება (რუსთავი, დმანისი, ბოლნისი, გარდაბანი, მარნეული); სამეგრელოში ორი მომსახურება (ფოთი, სენაკი); სამცხე-ჯავახეთში ორი მომსახურება (ბორჯომი, ახალციხე); მცხეთა-მთიანეთში ერთი მომსახურება; რაჭაში ერთი მომსახურება (ამბროლაური); სვანეთში ერთი მომსახურება (მესტია).

ხანდაზმულთა და შშმ პირთა ოჯახების მხარდამჭერი შინმოვლის სერვისის განვითარება, 2025 წლის განმავლობაში, ხასიათდებოდა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაფართოებისა და, შესაბამისად, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის დინამიკით. აღნიშნული სერვისი წარმოადგენს თემზე დაფუძნებული ზრუნვის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას მათივე საცხოვრებელ გარემოში. ეს თავის მხრივ, ხელს უწყობს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის შენარჩუნებას, ინსტიტუციურ ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირებასა და ოჯახის მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერებას.

საანგარიშო პერიოდში, შინმოვლის სერვისი განვითარდა ექვს რეგიონში და რვა მუნიციპალიტეტში.[1]

საანგარიშო პერიოდში, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შემუშავდა ცალკეული დოკუმენტები, მათ შორის, ბიოფსიქოსოციალური მოდელის გამოყენებით შშმ სტატუსის დადგენის ინსტიტუციური მოწყობის ალტერნატიული მიდგომები. საბოლოო მოდელის შერჩევამდე უნდა გაანალიზდეს რეფორმის ალტერნატივები, მათი სამართლებრივი და საფინანსო-ეკონომიკური შედეგები.

მოქალაქეთათვის მოქნილი და ეფექტიანი მომსახურების სისტემის შექმნის მიზნით, რეგიონულ ჭრილში ფუნქციონირებს სოციალური დაცვის, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებების „ერთი ფანჯრის პრინციპით" ერთ სივრცეში მიწოდების მოდელი.

2025 წელს, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით მოქმედი 15 სერვის ცენტრის რეაბილიტაცია. შშმ პირებისთვის გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ცენტრების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ იქნა ადაპტირებული უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის პრინციპების შესაბამისად.

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ განხორციელებული განსახლების პროგრამები, კანონმდებლობის შესაბამისად, აუცილებლად ითვალისწინებს განსახლების ობიექტების შშმ პირთათვის ადაპტირებას.

2025 წელს, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ დაასრულა ვებგვერდის www.sesa.moh.gov.ge ადაპტირება, თარგმნა (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) და ტექნიკური გამართვა. აღნიშნული გვერდი სრულად ხელმისაწვდომია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსდ – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ დაიწყო ოკუპაციური თერაპიის პილოტირება №5, №6, №8 (არასრულწლოვნების) და №18 დაწესებულებებში, რომლის ფარგლებშიც, დაინერგა WHODAS 2.0 ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი ბენეფიციარების ჩართულობის განსასაზღვრად. მიმდინარე ეტაპზე შეფასებულია 6 ზრდასრული მსჯავრდებული;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარდა პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უსინათლო და მცირე მხედველპირთა საჭიროებების

[1] იმერეთში — საჩხერეში (ორი მომსახურება); გურიაში — ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში (სამი მომსახურება); სამცხე-ჯავახეთში — ბორჯომში (ერთი მომსახურება); აჭარაში — ბათუმში (ერთი მომსახურება); ქვემო ქართლში — თეთრიწყაროში (ერთი მომსახურება); შიდა ქართლში — კასპში (ერთი მომსახურება).

კვლევა. კვლევის შედეგად გამოვლინდა შშმ პირების მიერ სერვისის მიღებისას არსებული ბარიერები. შედეგად, განხორციელდა პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამის სრული ადაპტაცია უსინათლო და მცირე მხედველ პირთა საჭიროებების შესაბამისად. განხორციელებული ცვლილებები მიმართულია პროგრამული გარემოს ინკლუზიურობისა და მისაწვდომობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ, რაც ხელს უწყობს ელექტრონული სერვისებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების გაძლიერებას.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და ხელმოწერის ნამდვილობის დადგენის (ვალიდაციის) პორტალის ადაპტაცია უსინათლო და მცირე მხედველპირთა საჭიროებების შესაბამისად. სააგენტომ უზრუნველყო პორტალის (esign.sda.gov.ge) თავსებადობა უნივერსალურ ეკრანის წამკითხავ პროგრამასთან NVDA (Nonvisual Desktop Access), რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სერვისით სარგებლობის მისაწვდომობას მხედველობის დარღვევის მქონე მომხმარებლებისთვის.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავდა ახალი დიზაინის პირადობის მოწმობა, რომელზე დატანილი QR კოდი იძლევა დოკუმენტის ან/და პირის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შემოწმების შესაძლებლობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. შედეგად, ახალი პირადობის მოწმობის მეშვეობით შშმ პირები ისარგებლებენ სხვადასხვა შეღავათით ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე და დაცული იქნება მათი პერსონალური მონაცემები.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადდა საინფორმაციო ბარათები, რომლებიც ეხება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერის ბრაილის შრიფტით ბეჭდვის შესაძლებლობას. აღნიშნული საინფორმაციო მასალები მიზნად ისახავს უსინათლო და მცირე მხედველპირთა ინფორმირებულობის ზრდას და მათთვის საჯარო რეესტრის სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის ხელშეწყობას.

განხორციელდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის (napr.gov.ge) მისაწვდომობის უზრუნველყოფის სამუშაოები. კერძოდ, ვებგვერდს დაემატა ახალი ფუნქციონალები, დაინერგა „ხელმისაწვდომობის ასისტენტი“, რომლის საშუალებით მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, დაარეგულირონ ფონტის ზომა, შეცვალონ კურსორი და ფერები, გამოიყენონ ფერების შებრუნების ფუნქცია, დამალონ სურათები, შეაჩერონ ანიმაციები და გააააქტიურონ ხმოვანი ასისტენტი, რაც უზრუნველყოფს ვებგვერდის მისაწვდომობის გაუმჯობესებას სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის;

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ შეფასდა თბილისის იუსტიციის სასწავლო ცენტრის შენობის მისაწვდომობა. ცენტრის მიერ შეფასება წარიმართა სპეციალურად შემუშავებული შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ტექნიკურ რეგლამენტს – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“.

გაიხსნა საგარეჯოს, ცაიშის, ტოლებისა და თბილისში გლდანის იუსტიციის სახლები, რომლებიც აკმაყოფილებენ მისაწვდომობის კრიტერიუმებს. იუსტიციის სახლების შესასვლელები ერთ სიბრტყეზეა განლაგებული, მისაწვდომია სველი წერტილები შესაბამისი საინფორმაციო ნიშნულებით და სხვა.

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ ეტლით მოსარგებლე პირთათვის სანოტარო ბიუროების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით თბილისში (3 ბიურო), ზესტაფონში, რუსთავში, ჩოხატაურსა და სენაკში განხორციელდა სანოტარო ბიუროების ადაპტირება (ჯამში, 7 სანოტარო ბიურო);

განხორციელდა სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს კაფეტერიის მისაწვდომობის უზრუნველყოფის სარემონტო/მოსაწყობი სამუშაოები. სათავო ოფისის შიდა ტერიტორიაზე მოეწყო რელიეფური ბილიკი;

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფისის (მისამართი: თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №2) სამუშაო სივრცეების შშმ პირთა საჭიროებებზე მორგების მიზნით განხორციელდა განათების შესაბამისი პარამეტრებითა და განათების ტიპებით მოწყობა-დამონტაჟების სამუშაოები. ამასთან, ამავე ოფისში სამუშაო სივრცეებში არსებული ჩამრთველების ირგვლივ დამონტაჟდა კონტრასტული ფერის კანტები.

2025 წელს, **საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს** მართვაში არსებულმა შპს - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, შშმ პირთა უფლებების სრულფასოვანი და ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, კომპანიის სხვადასხვა ადმინისტრაციულ შენობებში უზრუნველყო ადაპტირებული გარემოს მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და სამუშაო და მომსახურების სივრცეებში თანაბარი პირობების შექმნას.[2]

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ საანგარიშო პერიოდშიც გრძელდება არსებული პრაქტიკების გამოყენება, კერძოდ, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შესაბამისი პროექტის განხორციელების დროს, განსახლების პროცედურების განხორციელებისას ხელმძღვანელობს შესაბამისი განვითარების პარტნიორის გარემოსა და სოციალური ჩარჩო-დოკუმენტების შესაბამისად, რომელთა პრინციპები ითვალისწინებს ინკლუზიური მხარდაჭერის ღონისძიებებს პროექტის განთვისების ზოლში მოქცეული ისეთი მოწყვლადი ჯგუფის მიმართ, როგორიცაა შშმ პირების მიერ მართული შინამეურნეობა.

[2] მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფილიალის სტეფანწმინდის სერვის ცენტრის (სტეფანწმინდა, რუსთაველის ქ. №1) შენობაში მოეწყო სპეციალური სველი წერტილი; კახეთის რეგიონული ფილიალში მოეწყო პანდუსი; კახეთის რეგიონული ფილიალის სიღნაღის სერვის ცენტრის შენობაში მოეწყო სპეციალური სველი წერტილი და შენობის გარე სივრცეში დამონტაჟდა პანდუსი.

ზემოაღნიშნული კატეგორიის ბენეფიციართა რაოდენობა და ინკლუზიური მხარდაჭერის ღონისძიებები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისი განსახლების გეგმის მომზადების ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მიმდინარეობს E-70 საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი) - სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბათუმის შემოვლითი გზა-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვისა და განსახლების პროცედურები. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მომზადების ეტაპზე, განხორციელდა პროექტის ზემოქმედების ფარგლებში მოქცეული შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, რის საფუძველზეც განისაზღვრა მოწყვლადი ჯგუფები (მათ შორის, შშმ პირის მიერ მართული შინამეურნეობა), რომლებიც საჭიროებენ მიზნობრივ მხარდაჭერას. შესაბამისად, მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით, მოწყვლადი ჯგუფების მიმართ გათვალისწინებულ იქნა საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს სპეციალურად შექმნილ დახმარებას (ტრანსპორტით მხარდაჭერა, სპეციალიზებული პროფესიული ტრენინგი, და სხვა), ფულად კომპენსაციას და პრიორიტეტს პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებში დასაქმებისთვის.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები, ასევე, უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირების ეფექტიან ჩართულობას და ადეკვატურ მხარდაჭერას პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

2025 წელს, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** საქმიანობის ფარგლებში:

- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-სთვის, ქალაქ თბილისში, ლისის ქუჩა №1ა-ს მიმდებარედ აშენდა ახალი დამატებითი ადმინისტრაციული შენობა, რომელიც სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე;
- განხორციელდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც შშმ პირებზე ადაპტირდა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობები;[3]
- მომზადდა საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის არსებული შენობის ნაწილის (ქ. თბილისი, ცინცაძის ქუჩა №6) სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების პროექტი, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებზე;
- მომზადდა საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილი ახალი სახანძრო-სამაშველო შენობების მშენებლობის

[3] ქ. თბილისი, მ. გახოკიძის ქუჩა №16; ქ. ფოთი, მშვიდობის ქუჩა №8; ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა (დაიწყო 2025 წელს, ადაპტირდება); ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხუცუბანი, I ქუჩა №2 (დაიწყო 2025 წელს, ადაპტირდება);

პროექტები (ქ. ლანჩხუთი, ქ. ადიგენი, ქ. ლაგოდეხი, ქ. საჩხერე) სადაც გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებებიც;

- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდა 1 (ერთი) ერთეული შშმ ლიფტი, რომელიც მოემსახურება ერთიან მომსახურების ცენტრში შშმ ვიზიტორებს. მიწოდების და მონტაჟის ვადა განსაზღვრულია 2026 წლის 31 მარტამდე;
- სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.police.ge) განთავსებულია სამინისტროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან დაკავშირებით შშმ პირთა გზამკვლევი. ამასთან, ვებგვერდი ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2025 წელს, დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები ბრაილის შრიფტით, რომელიც გავრცელდა მთელი წლის განმავლობაში თბილისსა და რეგიონებში; მომზადდა დაზღვევის მნიშვნელობაზე საინფორმაციო ვიდეო რგოლი ჟესტურ ენაზე, რომლის ჩვენება სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის „Youtube"-ის არხზე განთავსდა ვიდეორგოლი[4] სახელწოდებით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვა"; დამზადდა 5 ერთეული საინფორმაციო ვიდეორგოლი სახელწოდებით „ოფიცრის დღიურები", რომელიც შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი ფორმით (სურდო თარგმანი) გავრცელდა.

მუნიციპილიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის **საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ** შშმ პირებს, ტრადიციულად, არჩევნების დღეს სხვადასხვა სერვისი შესთავაზა. კერძოდ:

- ✓ უსინათლო ამომრჩევლებს – ყველა საარჩევნო უბანზე საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა;
- ✓ მცირემხედველ ამომრჩევლებს – ყველა საარჩევნო უბანზე გამადიდებელი ლინზა;
- ✓ ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებს – ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა;
- ✓ ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს – ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი, მასზე დატანილი QR კოდით, რომლის საშუალებით ამომრჩევლებს შეეძლოთ ინფორმაციის მიღება ჟესტურ ენაზე და ასევე აუდიო ფორმატით;
- ✓ ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის - კონტაქტ-ჰაბის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურება.

---

[4] ვიდეორგოლი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვა" https://www.youtube.com/watch?v=vuX6GVhq8uA (ბოლოს ნანახი 20/03/2026)

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო საარჩევნო უბნები. ამომრჩეველებს ჰქონდათ შესაძლებლობა არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, რისთვისაც უნდა მიემართათ შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიისთვის ან დაკავშირებოდნენ ცესკოს კონტაქტ-ჰაბს. ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებს ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული საარჩევნო რუკის საშუალებით შეეძლოთ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია კონკრეტული საარჩევნო ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის დასურათებულ ფორმატში.

შშმ პირების ინფორმირების მიზნით, ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული იყო შემდეგი ინფორმაცია ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნების შესახებ; ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნის მოთხოვნის წესი/პროცედურა; საარჩევნო ბიულეტენები და ბიულეტენების შევსების წესი ეკრანის წამკითხველი პროგრამისთვის („ხმოვანი პროგრამა“) ადვილად წასაკითხ ფორმატში; შშმ ამომრჩეველთა მონაწილეობით გადაღებული ვიდეორგოლი, რომელშიც ასახული იყო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურები. ვიდეორგოლი იყო ადაპტირებული ყრუ ამომრჩევლებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ცესკოს მიერ მომზადებული ყველა ვიდეორგოლი და საარჩევნო პერიოდში გამართული ცესკოს ყველა საინფორმაციო ბრიფინგი ყრუ პირებისთვის მისაწვდომი იყო ქართულ ჟესტურ ენაზე. ამასთან, ცესკოს ვებგვერდი იყო ადაპტირებული უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

უსინათლო ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, ცესკოს ვებგვერდზე, ეკრანის წამკითხველი პროგრამისთვის („ხმოვანი პროგრამა“) განთავსებული იყო შემდეგი ინფორმაცია:

- საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ბიულეტენის ტექსტი ელექტრონული უბნებისთვის;
- ბიულეტენის ტექსტი ტრადიციული უბნებისთვის.

2025 წელს, გაგრძელდა **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** მიერ 2024 წელს დაწყებული მნიშვნელოვანი ციფრული ტრანსფორმაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი ოფიციალური ვებგვერდის სრულმასშტაბიან განახლებას. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ბიუროს შიდა რესურსების გამოყენებით და აქტიურად გრძელდება დღემდე.

განახლებული ვებგვერდი მუშავდება უნივერსალური დიზაინის პრინციპების სრული დაცვით და ციფრული ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რაც მიზნად ისახავს ყველა მომხმარებლისთვის, მათ შორის შშმ პირთათვის, თანაბარი და შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფას. პროექტის

განხორციელების შედეგად, შშმ პირებს მიეცემათ ბიუროს ელექტრონულ სერვისებზე სრული და დამოუკიდებელი წვდომის შესაძლებლობა. განახლებული ციფრული პლატფორმა უზრუნველყოფს დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საექსპერტო მომსახურების სხვადასხვა მიმართულების შესახებ, მათ შორის მომსახურების ტარიფებზე, ექსპერტიზის დანიშვნის პროცედურებზე, საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალსა და მომსახურების ვადებზე.

ამასთანავე, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ადაპტირებულ და მომხმარებელზე ორიენტირებულ ფორმატში, რაც ხელს შეუწყობს ციფრული ბარიერების შემცირებას და შშმ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად და სრულფასოვნად ისარგებლონ ბიუროს ყველა ელექტრონული სერვისით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შშმ პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაიწყო მუშაობა (საპროექტო სამუშაოები) მარტვილის მაგისტრატ სასამართლოში პანდუსის მოწყობაზე. სამუშაოები ასევე ითვალისწინებს შენობის ცენტრალური კარის შეცვლას, რომელიც, თავის მხრივ, ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა შშმ პირთათვის გაუმჯობესებულია, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები.

2025 წლის მდგომარეობით, მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურატურის 24 ადმინისტრაციული შენობა. სენსორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის მისაწვდომია პროკურატურის 15 ადმინისტრაციული შენობა.

2025 წელს, კახეთის საოლქო და თელავის რაიონული პროკურატურების ადმინისტრაციული შენობის ფიზიკური გარემო მოეწყო/გაუმჯობესდა შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფიზიკური, ასევე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები.

ამასთანავე, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის ავტოსადგომის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ითვალისწინებს შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას, რაც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურული მისაწვდომობის გაუმჯობესებას და ადმინისტრაციულ სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას.

თბილისში, ისნის რაიონში 2025 წლის ბიუჯეტის ფარგლებში მოეწყო/რეაბილიტირდა 24 მისამართზე სკვერი და ბავშვთა გასართობი მოედანი, 13 მისამართზე სპორტული მოედანი და 95 მისამართზე ჩატარდა საგზაო სამუშაოები. ვაკის რაიონში, №41 და №55 საჯარო სკოლებში, ასევე ნუცუბიძის ფერდობზე III მკ. I კვ. კორპ №13-ში დამოტაჟდა შშმ პირთათვის

ადაპტირებული ლიფტი. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ, 2025 წელს, შშმ პირებისათვის მოეწყო ერთი პანდუსი სტადიონთან.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, შშმ პირთათვის მისაწვდომობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად ხორციელდებოდა **მუნიციპალიტეტების** მხრიდან. კერძოდ: მოეწყო და რეაბილიტირდა სკვერები, სპორტული მოედნები; კეთილმოეწყო ქუჩები და ტროტუარები, დამონტაჟდა ტაქტილური ფილები, ბორდიურები დაყვანილ იქნა ნულოვან ნიშნულზე, დაემატა შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცეები; დაპროექტდა და მოეწყო სადარბაზოებისა და ლიფტების ასასვლელები; ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებში მოეწყო პანდუსები; განხორციელდა რეკრეაციულ-ტურისტული სივრცეების, მუნიციპალური ტრანსპორტი და სატრანსპორტო გაჩერებების ადაპტაცია; ადაპტირდა საბავშვო ბაღებისა და სკოლების შენობები, სპორტული დარბაზები; აღნიშნული სამუშაოები განახორციელეს შემდეგმა მუნიციპალიტეტებმა: ბათუმი, ხულო, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, საჩხერე, ტყიბული, ქუთაისი, ხონი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი, აბაშა, ჩხოროწყუ, მარტვილი, მესტია, სენაკი, წალენჯიხა, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული, რუსთავი, გორი, ქარელი.

პერსონალური ასისტენტის სერვისი სოციალური მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.** პროგრამა ამოქმედდა 2025 **წლის 1 იანვრიდან.** ბენეფიციარებმა სერვისით ისარგებლა/სარგებლობენ შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ბორჯომი, ბათუმი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ყვარელი, დუშეთი, დმანისი, რუსთავი, გარდაბანი, შუახევი, ხულო, სიღნაღი, თელავი, ფოთი, კასპი, ოზურგეთი.

IV. სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2025 წლის განმავლობაში, აქტიურად მუშაობდა არსებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლისა და მისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – „გაერო“) შშმ პირთა უფლებების კონვენციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებულ სერვისებზე შშმ პირთათვის სრული მისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ შშმ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა დაცვის მიმართულებით, რომლის ფარგლებში არაერთი ღონისძიება განხორციელდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის მიერ განხილულია, მათ შორის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, „ელექტრონული

მთავრობის“ პროგრამაში ატვირთული და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სხვა არხებით წარმოდგენილი 500-ზე მეტი საკანონმდებლო პაკეტი ან ცალკეული კანონპროექტი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტი. განხილული ნორმატიული აქტების პროექტების კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

მათ შორის, უშუალოდ შშმ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას მიემართებოდა „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრების საკანონმდებლო პაკეტი (№07-3/332/10), რომელიც მიზნად ისახავდა ნორმატიულ აქტებში არსებული ტერმინოლოგიის შშმ პირთა უფლებების თანამედროვე ტერმინებსა და სტანდარტებთან შესაბამისობას. საქართველოს პარლამენტში სამუშაო პროცესი წარიმართა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, რის შედეგადაც გადაიხედა საქართველოს კანონების პროექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაიწყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებების ასახვისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტების იდენტიფიცირებისა და მათში სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით პროექტების მომზადების პროცესი.

სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში დამუშავდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან წარმოდგენილი მინისტრის ბრძანების პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანების ცვლილების თაობაზე“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პერსონალური ასისტენტის შერჩევის კრიტერიუმების დაზუსტებას და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

წარმოდგენილი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტების ანალიზი გაერო-ს კონვენციასთან მიმართებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში უწყვეტად მიმდინარეობს.

გაერო-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ორი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ანალიზი. კერძოდ, მომზადდა რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 59-ე მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით. ასევე, რეკომენდაცია სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის №582/ს ბრძანებით დამტკიცებული სსიპ

– იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესების“ მე-4 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, უსინათლო პირთა, სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობის თანაბარი პირობების უზრუნველყოფისათვის საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციისა და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადების მიზნით ნოტარიუსებისა და ნოტარიუსთა პალატის გამგეობის აპარატის დასაქმებულთა მონაწილეობით სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს საკანონმდებლო აქტების საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებთან შესაბამისობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წელს, გამოქვეყნდა რეკომენდაცია - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესუალური ასპექტები“, რომელშიც, მათ შორის, განსაზღვრულია ინტელექტუალური და კომუნიკაციის დარღვევების მქონე ბავშვების გამოკითხვის წესი.

2025 წლის 27-30 მაისს, ქ. ლისაბონში (პორტუგალია), პროექტის „ქსელის შექმნა გამოძიების ფარგლებში ეფექტიანი დაკითხვის პრინციპების იმპლემენტაციის მიზნით (IMPLEMENDEZ)“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „გამოძიების ფარგლებში დაკითხვის სტანდარტების შესახებ“. ტრენინგი მოიცავდა მოწყვლადი ჯგუფების თემატიკასაც, მათ შორის, შშმ პირებთან მიმართებით. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის 1 ინსტრუქტორი.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, საარჩევნო სუბიექტების მიერ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის სურდოთარგმანით უზრუნველყოფის მიზნით, **სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის** მიერ განხორციელდა მედიამომსახურების მიმწოდებლების მონიტორინგი, რა დროსაც სურდოთარგმანით უზრუნველყოფის დარღვევის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციის გაწევასა და იურიდიულ დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციით, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით საჭიროების შემთხვევაში, ასევე, საადვოკატო მომსახურებით სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობით ადმინისტრაციული წარმოებისას.

გარდა ამისა, სამსახური იურიდიულ მომსახურებას ახორციელებს მობილური საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით. მობილური საკონსულტაციო ცენტრი არის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სპეციალური მიკროავტობუსი, სადაც შესაძლებელია

ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა კონფიდენციალურობის დაცვით, საჭირო შემთხვევაში მომზადდება სამართლებრივი დოკუმენტები. ცენტრი გასვლით ღონისძიებებს ახორციელებს უმეტესად მაღალმთიან ან კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები მოშორებით მდებარეობს, ასევე შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს შექმნის გამოწვევებიდან გამომდინარე, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობენ შშმ პირები.

2025 წელს, შშმ დაზარალებულისა და შშმ არასრულწლოვანი ბრალდებულის/კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სისხლის სამართლის საქმეების 73,7%-ში **საქართველოს პროკურატურის** პროკურორების და გამომძიებლების მხრიდან გამოყენებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.

2025 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში სწავლობდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს და მონიტორინგს უწევდა პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას. მონიტორინგის საფუძველზე, შემუშავდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი. შესწავლილია შშმ დაზარალებულთა მონაწილეობით არსებული 217 სისხლის სამართლის საქმე და გაანალიზებულია საპროცესო დოკუმენტები. მონიტორინგის ასპექტები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: შშმ დაზარალებულის შეზღუდვისა და სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და გათვალისწინება; პროცედურული მისადაგების პრინციპის დაცვა; შშმ პირის მიმართ ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. გაანალიზდა ოჯახური დანაშაული, შშმ პირთა მიმართ ჩადენილი სხვადასხვა ტიპის ძალადობის შემთხვევები, გაუფრთხილებლობით ჩადენილი და ეკონომიკური დანაშაულები, დაზარალებულთა და ბრალდებულთა ტერიტორიული განფენილობა, სქესი, ასაკი, სოციალური კავშირი, შესაძლებლობის შეზღუდვის სახეები, შეუწყნარებლობის მოტივი, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში და სხვ. მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა 2024 წლის და 2025 წლის 9 თვის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე ასახავს საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმებს შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[5]

---

[5] შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phptYtgrZ.pdf (ბოლოს ნანახია 27/03/2026)

2025 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა არასრულწლოვან შშმ დაზარალებულთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ამოწმებდა პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ „შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ" სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას. მონიტორინგის საფუძველზე შემუშავდა ანალიზი. შესწავლილია არასრულწლოვან შშმ დაზარალებულთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული 28 სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც იდენტიფიცირდა 36 შშმ არასრულწლოვანი დაზარალებული და 1 შშმ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. გაანალიზდა საპროცესო დოკუმენტები; შშმ არასრულწლოვანთა შეზღუდვის სახე და მათი სპეციალური საჭიროებები, შემოწმდა პროცედურული მისადაგების დაცვის სტანდარტი, შშმ არასრულწლოვანთა მიმართ და კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი რეაგირება. გაანალიზდა ოჯახური და სქესობრივი დანაშაული, ასევე სხვა კატეგორიის დანაშაულები. გარდა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემებისა, ანალიზი მოიცავს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებსა და გამოწვევებს და საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმებს შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი რეაგირების, პროცედურული მისადაგებისა და შშმ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხებზე. აღნიშნული ანალიზების შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[6]

2025 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში გაანალიზებულია პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები.

2025 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში განხორციელებული, შშმ დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე არსებული სასამართლო პრაქტიკისა და გამოვლენილი ტენდენციების ამსახველი დოკუმენტი. შშმ პირთა მონაწილეობით, მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე იდენტიფიცირებულია ტენდენციები და გამოწვევები სამართალწარმოების პროცესის ყველაზე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

---

[6] შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php2QFEwL.pdf (ბოლოს ნანახი 27/03/2026)

2025 წელს, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა პრეს-რელიზები შშმ პირთა წინააღმდეგ და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოში საქმის განხილვის შედეგების თაობაზე. ასევე, შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და საზოგადოების ინფორმირება საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტია.

V. დასაქმების ხელშეწყობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა მიღებული განცხადებების საფუძველზე წერილობითი კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაუწია 581 დაინტერესებულ პირს. უწყებაში აქტიურად ფუნქციონირებს სამსახურის ცხელი ხაზი 15-75, რომელმაც 2025 წლის განმავლობაში უპასუხა 14 432 შემომავალ ზარს და მოთხოვნის შესაბამისად გასწია კონსულტაცია როგორც შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობის, ასევე საკანონმდებლო ნორმების განმარტებასთან დაკავშირებულ, მათ შორის შშმ პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2025 წლის 3 თებერვალს, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა გაერთიანებულ ძალისხმევას ბენეფიციართა დასაქმების საკითხებში, მათ შორის, შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად უკვე დასაქმებულია 10-მდე ბენეფიციარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მეშვეობით, დასაქმებულია 13 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბერი №487 დადგენილებით დამტკიცდა „დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც მოიცავს ღია შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობისთვის 4 ქვეპროგრამას. ქვეპროგრამები ითვალისწინებს კომპონენტებს, რომლებიც უშუალოდ შშმ პირებისთვისაა განკუთვნილი, ესენია:

1. სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტი, რომლის ამოცანაა სამუშაოს მაძიებელი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების, შშმ

და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლებთან შეთანხმების მიღწევის გზით, ახალ ან არსებულ, თავისუფალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირება;

2. დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტი, რომლის მიზანია დამსაქმებლის ფინანსური მხარდაჭერა ისეთი სამუშაო გარემოს შექმნისთვის, რომელიც შშმ/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის იქნება ადაპტირებული და შენარჩუნებული 3 წლის ვადით.

გარდა ამისა, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ყოველწლიურად ამტკიცებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმას“ (2025 წლის 6 თებერვლის ბრძანება № 3 25 00000022).

„დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობის მიზნით, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრში ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 742-მა შშმ პირმა. აქტივობის ფარგლებში, დასაქმებულია 65 შშმ პირი.

დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ თავისუფალ სამუშაო ადგილზე საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 181 შშმ პირი. აქტივობის ფარგლებში, დასაქმებულია 54 შშმ პირი.

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, რომლის მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა და მიწოდება, 2025 წელს 158 შშმ პირს გაეწია მხარდაჭერითი მომსახურება, აქედან 128 შშმ პირს. კომპონენტის ფარგლებში აქტივობის ფარგლებში, დასაქმებულია 18 შშმ პირი.

სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების ქვეკომპონენტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს მაძიებელი მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების წარმომადგენლების, მათ შორის, შშმ და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას ახალ ან არსებულ თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით, საანგარიშო პერიოდში, ქვეკომპონენტში ჩაერთო 1 დამსაქმებელი და 2 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის: 1 შშმ პირი. ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაქმებულია 2 პირი.

2025 წელს, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის-ცენტრებში პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მიზნით კონსულტირება ჩაუტარდა 121 შშმ პირს.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კომპონენტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ მომზადებას, პროფესიულ გადამზადებას, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობას, განხორციელდა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამა - 2025 წელს სასწავლო პროცესი დაიწყო 34 საგანმანათლებლო დაწესებულებამ, 58 მოთხოვნად პროფესიაზე, სასწავლო პროცესში ჩაერთო 64 შშმ პირი. ქვეკომპონენტის ფარგლებში, დასაქმებულია 29 პირი.

ასევე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თავისუფალ სამუშაო ადგილზე სამუშაოს მაძიებელთა სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო და ხელშეკრულება გააფორმა 42 დამსაქმებელმა, რომელთა მიერ წარმოდგენილ ვაკანსიებზე ჩაერთო 13 შშმ პირი. ქვეკომპონენტის ფარგლებში, დასაქმებულია 2 პირი.

2025 წელს ჩატარდა სულ 6 დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 203-მა დამსაქმებელმა და 900-ზე მეტმა პირმა. დასაქმების ფორუმში მონაწილე პირიდან, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet) სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებულია 38 შშმ პირი.

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების შედეგად დასაქმდა 169 შშმ პირი.

აღსანიშნავია, რომ შრომის უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა 2799 აქტივობა (პირველადი და შემდგომი ინსპექტირება დარღვევების აღმოფხვრამდე, მონიტორინგი), რომელმაც პირველადი ინსპექტირებისა და მონიტორინგის ფარგლებში მოიცვა 1664 ობიექტი. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში შშმ პირთა მიმართ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი ნორმების დარღვევები გამოვლინდა 5 ორგანიზაციაში, რომლის შედეგადაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და სახდელის სახედ განისაზღვრა ჯარიმა ორმაგი ოდენობით (77-ე მუხლის მე-2 პუნქტი). უშუალოდ შრომის კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრულ სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით დარღვევა საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული აქტივობების ფარგლებში, გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებასთან მიმართებით შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების პროცესში ორგანიზაციების მონიტორინგს, რომლისთვისაც 2025 წელს განხორციელდა 19 ორგანიზაციის მონიტორინგი. აღნიშნულის შედეგად კი, შემოწმდა შექმნილი იყო თუ არა სათანადო გარემო-პირობები შშმ პირებისთვის, სამომავლოდ ამ

კომპონენტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ორგანიზაციებისთვის „საშუამავლო კომპანიის" სტატუსის მინიჭების მიზნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მასშტაბით დასაქმებულია 100-ზე მეტი შშმ პირი. ისინი გონივრული მისადაგების პრინციპის ფარგლებში სარგებლობენ მოქნილი სამუშაო გრაფიკით, საჭიროებიდან გამომდინარე, მათი სურვილის გათვალისწინებით. სამუშაოს მოცულობა მორგებულია მათ შესაძლებლობას და განსაზღვრულია მათთვის მისაღები სამუშაო გრაფიკი (ფიზიკური ან/და დისტანციური);

შშმ პირთა საკითხებზე სისტემის მასშტაბით ჩატარდა არაერთი ტრენინგი და ცნობიერების ამაღლების ღონისძიება. ამასთან, პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულმა შშმ პირებმაც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა თემატურ ტრენინგსა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში:

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებულთათვის განხორციელდა პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი სასწავლო აქტივობები. კერძოდ, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „მაინდფულნესი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც შშმ, ისე ტიპური განვითარების თანამშრომლებმა;

ამასთან, დისტანციურ ფორმატში გაიმართა სამდღიანი ტრენინგი თემაზე „დროის მართვა", რომელშიც სააგენტოს სხვა დასაქმებულებთან ერთად მონაწილეობდა 10 შშმ პირი, ხოლო ტრენინგს თემაზე „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი" დაესწრო 30 დასაქმებული, მათ შორის 6 შშმ პირი;

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმებულთათვის განხორციელდა პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა შემდეგ თემატურ მიმართულებებს, მათ შორის: „სოციალური მედიის მართვის პროგრამა", „ხელოვნური ინტელექტის საბაზისო კურსი", „ადამიანის ძირითადი უფლებები", „ფინანსური აღრიცხვა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების შესაბამისად", „ადმინისტრაციული სამართალი", „საქართველოში მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესები და პირობები", „საკანონმდებლო საკითხები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სამოქალაქო აქტების მიმართულებით", „ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება" და „პრაქტიკული საკითხები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სამოქალაქო აქტების მიმართულებით". ზემოაღნიშნულ ტრენინგებში უზრუნველყოფილი იყო სააგენტოს როგორც შშმ, ისე ტიპური განვითარების დასაქმებულთა თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა.

სსიპ - იუსტიციის სახლში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის, როგორც შშმ ისე ტიპური განვითარების დასაქმებულებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ თემატურ ტრენინგებში: „MS EXCEL",

„ჯვარედინი დაკითხვა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვა“, „სტრესის მართვა“ და „გუნდური შეჭიდულობა“;

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დასაქმებულთათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე „გუნდური შეჭიდულობა“, რომელსაც ესწრებოდა ნოტარიუსთა პალატის 30 დასაქმებული, მათ შორის 2 შშმ დასაქმებული. ასევე, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის შშმ დასაქმებულებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „სოციალური მედიის მართვა“, რომელიც სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა;

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის და სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის შერეული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში „პირველადი სამედიცინო დახმარება“;

სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროს როგორც შშმ, ისე ტიპური განვითარების დასაქმებულებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში „მოლაპარაკების ტექნიკები“;

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, ეტაპობრივად განხორციელდა სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამა, მათ შორის: ბიოლოგიური ნიმუშის აღების კვალიფიკაციის მისანიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამა (დნმ)“; „ტრენერთა ტრენინგი“; „პროფესიული გადაწვა“; „ქალთა - სამოტივაციო პროგრამა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის“ და „დაქტილოსკოპია“. ტრენინგების ფარგლებში გადამზადდნენ, როგორც ტიპური განვითარების, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გაუმჯობესებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ** შექმნა ვებგვერდი HR.GOV.GE, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი. განახლებული ვებგვერდის შექმნის პროცესში, პირველ ეტაპზე, შეფასდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებადი პლატფორმები - ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, საჯარო სამსახურში არსებული ვაკანსიების პლატფორმა, სწავლების ელექტრონული სისტემა და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი. გაანალიზდა აღნიშნული სისტემების ფუნქციური დატვირთვა, ტექნიკური მახასიათებლები, ურთიერთგადაკვეთის წერტილები და შემუშავდა განვითარების ხედვა. ამასთან, მომზადდა საპროექტო წინადადება და განისაზღვრა პროექტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის სამუშაოს მოცულობა, სამოქმედო გეგმა და დაკომპლექტდა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილებოდა მიღწეული შედეგები და იგეგმებოდა შემდგომი ნაბიჯები. შედეგად, შეიქმნა ვებგვერდი HR.GOV.GE, რომელიც ერთი ქუდის ქვეშ აერთიანებს: ვაკანსიების ადმინისტრირების ვებგვერდს -

vacancy.hr.gov.ge; პროფესიული განვითარების პლატფორმას - elearning.hr.gov.ge და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემას - ehrms.ge. განახლებული ვებგვერდი ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებების (მხედველობის დაქვეითებისა და დამატებითი საჭიროების მქონე პირებისთვის) უზრუნველსაყოფად.

ამასთან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ დაიწყო საჯარო სამსახურში ვაკანსიების ერთიანი ვებგვერდის - vacancy.hr.gov.ge-ის სისტემური განახლების პროცესი, რაც მათ შორის, მოიცავს შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებას, ვებგვერდის ადაპტირების მიზნით.

შშმ პირები დასაქმებული არიან შემდეგ **მუნიციპალიტეტებში:** ა(ა)იპ - რუსთავსერვის ცენტრში დასაქმებულია 12 შშმ პირი; ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში - 1 შშმ პირი, კულტურის და ხელოვნების ცენტრში - 4 შშმ პირი, საკრებულოში - 3 შშმ პირი, მერიაში - 2 შშმ პირი; გურჯაანის შშმ პირთა დასაქმების სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 17 შშმ პირი; ცაგერის მერიაში შეიქმნა „შშმ პირთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა". პროგრამით სარგებლობა შეუძლია 18-45 წლის ასაკის მქონე პირებს მათი უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პროგრამით უკვე ისარგებლა 1 შშმ პირმა; დმანისისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში მოქმედებს პროგრამები, რომლებიც შშმ პირებს უზრუნველყოფენ ფინანსური მხარდაჭერით, პროფესიული კურსებითა და საჭირო ინვენტარით მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

VI. განათლების უფლების ხელმისაწვდომობა

ინკლუზიური განათლების მიმართულებით ეფექტიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და სერვისების კოორდინირებული მუშაობისთვის, **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში** 2025 წელს, შეიქმნა სტრატეგიული და ინკლუზიური განვითარების დეპარტამენტი.

სმენის, მხედველობის, მრავლობითი დარღვევის მქონე ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის, შვიდ სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (რესურსსკოლაში) ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სრული სახელმწიფო მომსახურებით უზრუნველყოფილ იქნა 485 ბენეფიციარი, მათ შორის, პანსიონში მყოფი 63 ბენეფიციარი დამატებით უზრუნველყოფილია სრული სადღეღამისო მომსახურებით. ჩატარდა 6 კვირიანი საზაფხულო სკოლა.

სენსორული (სმენა) და აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილია ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირება. ამასთანავე, ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზებული ბავშვებისა და ა(ა)იპ - ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა" ბენეფიციარებისათვის ხორციელდება საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება.

აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირება უზრუნველყოფილი იქნა სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში სენსორული (სმენა) დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში, სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლაში, სსიპ - თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, სსიპ - ქალაქ ბათუმის №13 საჯარო სკოლაში, სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №61 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლასა (8 თვე) და სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლაში. ასევე, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზირებული ბავშვებისათვის და ა(ა)იპ - ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა“ ბენეფიციარებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება;

განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის მიმართულებით მიუსაფარი ბავშვების განათლებისა და სოციალიზაციის უზრუნველყოფისთვის ხორციელდებოდა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა“, რომლის ბენეფიციარები არიან ქვეყანაში არსებული სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიუსაფარი ბავშვებზე ზრუნვის სერვისების ბენეფიციარები (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი). საანგარიშო პერიოდისთვის პროგრამაში ჩართული იყო 107 ბავშვი.

სხვადასხვა ჯგუფების (ბოშები, მესხები, შშმ და სსსმ მოსწავლეები) სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლაში ხორციელდება პროექტები. საანგარიშო პერიოდისთვის, პროექტის ფარგლებში ამუშავებულ კლუბებში, ჩართულია 203 ბენეფიციარი და 154 მოხალისე.

2025 წელს, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) მხრიდან აქტიურად ხორციელდებოდა პირების/მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირება და მათთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების პროცესის მხარდაჭერად 2025 წელს შემუშავდა სამი ახალი გზამკვლევი: დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვებისათვის განმავითარებელი აქტივობების კრებული, დასწავლის სირთულეების მართვა და ალტერნატიული კომუნიკაცია და მარტივი ენა. აღნიშნული გზამკვლევები მნიშვნელოვანი რესურსი იქნება, როგორც სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად, ასევე მშობლების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში.

ამასთან, მომზადდა „ალტერნატიული სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების უმძიმესი და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის“ გზამკვლევი.

პროფესიული განათლების საფეხურზე მრავალფეროვანი, ინკლუზიური და მოქნილი სერვისების შეთავაზება მოწყვლადი და დამატებითი საჭიროების მქონე პირებისათვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შშმ პირებისათვის, სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით, სსსმ და შშმ პირებისათვის, შეთავაზებულია სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისი, საჭიროებებზე მორგებული გარემო და კვარტალურ ვაუჩერზე დამატებითი დაფინასება. თითქმის ყველა პროგრამის ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის გამოყოფილია კვოტა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.

2021 წლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ჩარიცხვის ერთიანი წესის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანება) საფუძველზე, რომელიც განსხვავებულად არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, ყველა პირისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღების უზრუნველსაყოფად. ამასთან, პროფესიული განათლების ინკლუზიური პოლიტიკის განვითარების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა „პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი და პირობები“ ბრძანების პროექტის შემუშავების მიმართულებით. 2025 წლის განმავლობაში, შემუშავდა ბრძანების პროექტის საბოლოო ვერსია, რომლის დამტკიცების შემდგომ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ეტაპობრივად დაინერგება საორიენტაციო სერვისი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც დაეხმარება სსსმ და შშმ პირებს ინფორმირებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში და პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციაში.

შშმ და სსსმ პირთა მხარდამჭერი სერვისების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, სამინისტროს მხარდაჭერით, 2025 წელსაც უწყვეტად გაგრძელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინკლუზიური განვითარების რგოლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირება და გაძლიერება ინკლუზიური განათლების ხარისხის განვითარების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, 2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 238 პირი.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პროფესიული განათლების გეოგრაფიული ქსელის გაფართოება. ამ მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არაერთი მიმართულებით მუშაობს - ახალი კოლეჯების მშენებლობა/არსებული კოლეჯების ძირითადი

სასწავლო კორპუსების განვითარება, არსებული კოლეჯების ფილიალების განვითარება და პროფესიული პროგრამების დანერგვა საჯარო სკოლებში. 2025 წელს ხაშურში დაფუძნებულმა კოლეჯმა „ქართლი“ მოიპოვა ავტორიზაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე, დასრულდა ახალი კოლეჯის მშენებლობა ბორჯომში - დაფუძნდა სსიპ კოლეჯი „თორი“. ასევე, დასრულდა ახალი კოლეჯების მშენებლობა ბოლნისში და დაიწყო კოლეჯის დაფუძნებისათვის საჭირო პროცედურები. გარდა ამისა, 2025 წელს გაგრძელდა 2024 წელს დაწყებული ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლებში მიმდინარეობს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. ინიციატივა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სკოლაშივე, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად, დაეუფლონ პროფესიას, ასევე, ხელს უწყობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესებას. 2025 წელს გაიზარდა ინიციატივის მასშტაბი და ინტეგრირებულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების პირველი ნაკადი ქვეყნის მასშტაბით დამატებით 63-მა საჯარო სკოლამ მიიღო.

ხაზგასასმელია, რომ ყველა ახალ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი გარემო, მათ შორის შენობებში მოწყობილია რემპები, ლიფტები. უსაფრთხო გადაადგილების ზონებთან ერთად დაწესებულებებს გააჩნიათ ტაქტილური ბილიკები, ბრაილით შესრულებული მინიშნებები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2025-2026 სასწავლო წელს, სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა 73 შშმ პირს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, სწავლას აგრძელებენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე. ასევე, 2025-2026 სასწავლო წელს, სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი მიენიჭა 13 სტუდენტს, რომლებიც არიან შშმ პირები.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ხარისხიანი განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო კურსები და ტრენინგები. აღნიშნული ტრენინგები შეთავაზებულია, როგორც საგნის მასწავლებლებისათვის, ასევე ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის. ტრენინგ მოდულები, კურსები მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტური ჩართვის მიზნით, სწავლის მეთოდები და სტრატეგიები, შშმ პირთა მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან/მეურვესთან ეფექტური კომუნიკაციის შესახებ საკითხები, რთული ქცევის მართვის ტექნიკები, შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესახებ ინფორმაცია.

პროგრამის ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგ მოდული: „სპეციალური მასწავლებლის განვითარების შესავალი კურსი“ გაიარა 212-მა სპეციალურმა მასწავლებელმა;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის მომზადების კურსი გაიარა 1040-მა ინდივიდუალურმა ასისტენტმა;
- „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისათვის“ წარმატებით გაიარა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან 60-მა სპეციალურმა მასწავლებელმა;
- ადრეული ინკლუზიური განათლების ტრენინგ-მოდული გაიარა 216-მა სკოლამდელი საფეხურის სპეციალისტმა.

„ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, ინკლუზიური განათლების საკითხებზე მომზადებული ტრენინგმოდულები გაიარეს საგნის მასწავლებლებმა შემდეგი რაოდენობით: ბავშვის განვითარება და განვითარების დარღვევები – 21 მასწავლებელი, კლასის მართვა – 79 მასწავლებელი, ქცევის მართვა საკლასო ოთახში – 98 მასწავლებელი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – 66 მასწავლებელი;

განხორციელდა ჟესტური ენის კურსი (I, II, III დონე), რომელიც გაიარა 11-მა მონაწილემ;

უსინათლო მოსწავლის სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების კურსი გაიარა 15-მა მასწავლებელმა;

მცირემხედველ მოსწავლეთა სწავლებისა და სწავლების სტრატეგიების კურსი გაიარა 17-მა მასწავლებელმა;

ტრენინგმოდული „პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა“ გაიარა 201-მა პრაქტიკოსმა სპეციალურმა მასწავლებელმა;

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ითვალისწინებს განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების პირთა სათანადო და ადაპტირებულ გარემოს არსებობის საჭიროებას (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის 3.2 კომპონენტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 5.1. კომპონენტები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის II და IV სტანდარტები).

2025 წელს, 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 32 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და 111 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც არის ჰარმონიზებული ინკლუზიური განათლების პრინციპებთან და პრაქტიკასთან. დაწესებულებაში შეფასების დროს მათ შორის დადგინდა ინკლუზიური გარემოს შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

2025 წელს დაიწყო ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაცია.

ავტორიზაციის პროცესი, შშმ პირთა ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მოიცავს როგორც ადაპტირებული ფიზიკური გარემოს (მაგ.: პანდუსის ან/და ლიფტის/ბაქან ლიფტის, ადაპტირებული სანიტარული კვანძის/კაბინის არსებობა), ისე შესაბამისი პროგრამის განხორციელების შინაარსობრივი საკითხების შეფასებას.

2025 წლის განმავლობაში, ავტორიზაციის მიზნით 121 (120 საჯარო და 1 კერძო) ადრეულ და სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში განხორციელდა ვიზიტი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების მიერ მოხდა დაწესებულებების შეფასება. საკითხები განხილულ იქნა ავტორიზაციის საბჭოს სხდომებზე. ხარვეზების აღმოფხვრის საკითხები, გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმებში, კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.

2025 წელს, სსიპ - საგანმამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში შევიდა სულ 2695 მომართვა ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების თაობაზე, მათ შორის, სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ, კერძოდ:

2612 მომართვა ეხებოდა პირის/მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება/გადაფასებას, მათ შორის 2026 მომართვა შეფასებას და 586 გადაფასებას.

83 მომართვა ეხებოდა სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევას ქცევის, მხედველობის, სმენის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების მიმართულებით. მათ შორის:

- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის მიმართულებით - 8 მიმართვა;
- მხედველობის დარღვევის მიმართულებით - 4 მიმართვა;
- სმენის დარღვევის მიმართულებით - 2 მიმართვა;
- ქცევის კონსულტირების მიმართულებით - 69 მიმართვა.

გარდა ამისა, ცენტრის შიდა გადამისამართების ფარგლებში განხორციელდა 143 მიმართვა ქცევის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების, სმენისა და მხედველობის სირთულეების მიმართულებით, მათ შორის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის მიმართულებით - 90 მიმართვა, მხედველობის დარღვევის მიმართულებით - 6, სმენის დარღვევის მიმართულებით - 5 და ქცევის კონსულტირების მიმართულებით - 42 მიმართვა. 2025 წელს სულ მომზადდა და მომართვის სუბიექტთან გაიგზავნა 3908 შეფასების დასკვნა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის ყველა ეტაპზე ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში (სამმართველო) შევიდა 1250 მიმართვა. მათ შორის, პირველ ეტაპზე დაფიქსირდა 995 პირის მიმართვა, რომელთაგან სტატუსი დაუდასტურდა 930 პირს, II, III და IV ეტაპზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით ცენტრში დაფიქსირებულია 255 მიმართვა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პერიოდში, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) მიერ მომსახურება გაეწია 360 აპლიკანტს. აქედან, 17 აპლიკანტს არ დაუდასტურდა, ხოლო 288 აპლიკანტს დაუდასტურდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაეგზავნათ შესაბამისი რეკომენდაციები, დანარჩენი 55 აპლიკანტის შემთხვევაში, შეფასების პროცესში თავად განაცხადეს უარი სტატუსის განსაზღვრაზე.

საანგარიშო პერიოდში, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში შევიდა 1471 მიმართვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შესარჩევ კონკურსში სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის ჩართვის თაობაზე, ყველა მომართვაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში არსებული ცხელი ხაზის საშუალებით რეაგირება მოხდა 1600-ზე მეტ ზარზე და დაინტერესებულ პირებს გაეწიათ შესაბამისი კონსულტირება.

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, 2025 წლის, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, საგნის, უფროსი სპეციალური მასწავლებლის, საბაზო პროფესიული უნარების გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის (გრანტის მოპოვებისათვის/გაუმჯობესებისთვის) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე სპეციალური პირობები შეუქმნა:

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე - 229 გამოსაცდელს;
- მასწავლებელთა გამოცდებზე - 30 გამოსაცდელს;
- საერთო სამაგისტრო გამოცდებზე - 32 გამოსაცდელს;
- სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე - 2 გამოსაცდელს.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სასწავლო ცენტრების ინფრასტრუქტურა მორგებულია შშმ პირთა საჭიროებებს - მოწყობილია პანდუსები, ადაპტირებულია აუდიტორიები და სველი წერტილები. სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, მობილურ ჯგუფებში სწავლება ხორციელდება ძირითადად საჯარო სკოლების ბაზაზე, ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუნიციპალური ორგანოების ადმინისტრაციის შენობაში, იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბაზებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თავშესაფრის მაძიებელთა მარტყოფის მიმღებ ცენტრსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრში. აღნიშნული ლოკაციების უმრავლესობაში ინფრასტრუქტურა შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისად არის მოწყობილი. გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია სწავლების დისტანციური ფორმატი, რაც

მსმენელთათვის დამატებით ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, მსმენელის მიერ სწავლების ფორმატის შერჩევა ხდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, თუმცა, 2025 წელს სკოლაში შშმ პირთა მხრიდან მომართვიანობა არ დაფიქსირებულა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა მუდმივად ანვითარებს სატრენინგო სერვისებსა და სწავლების ფორმებს ბენეფიციართა საჭიროებებზე უწყვეტი დაკვირვებისა და შესწავლის საფუძველზე. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება მომავალშიც, რათა სკოლის სასწავლო პროგრამებში ჩართვის მსურველი არც ერთი პირი არ დარჩეს პროცესს მიღმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, 2025 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში, საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა თავდაცვის სისტემის დაჭრილ/დაშავებული სტატუსის მქონე 11 შშმ მოსამსახურეს/ოჯახის წევრს, ასევე შშმ სტატუსის მქონე მოსამსახურეს დაუფინანსდა პროფესიული კურსი.

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით, 2025 წელს ორი პარასპორტსმენი ჩაირიცხა სპორტის უნივერსიტეტში, ერთი მწვრთნელთა საბაკალავრო ფაკულტეტზე და ერთი მაგისტრატურაში.

საქართველოს კულტურის სამინისტროს სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს დაფინანსებით და პარტნიორი ა(ა)იპ -ების ჩართულობით განხორციელდა რამდენიმე პროექტი, მათ შორის, „ვიზუალური კლასიკური მუსიკა და მუსიკოგრამა, როგორც დამხმარე სასწავლო ტექნოლოგია“ და სხვა.

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში უზრუნველყოფილია განათლების ხელმისაწვდომობა – კოლეჯის ყველა პროგრამა, უმაღლესი პროფესიული და თერთმეტწლიანი სამუსიკო, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთათვის. 2025 წელს, უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე განხორციელდა საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღება, სსსმ პირთათვის გამოყოფილი იყო კვოტა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%–ის ფარგლებში. კოლეჯში ყოველი მიღების წინ იმართება ღია კარის დღეები, სადაც, მიმართვის შემთხვევაში, მიმღები კომისია სსსმ აპლიკანტებს გააცნობს კოლეჯს, საგანმანათლებლო პროგრამებს, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით დაეხმარება პროგრამის შერჩევასა და რეგისტრაციაში.

ქ. თბილისის სსიპ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედში“ ამჟამად სწავლობს 2 შშმ მოსწავლე.

სსიპ - ქ. სოხუმის ა. შერვაშიძე-ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შშმ პირებისთვის მოქმედებს შეღავათი და მათთვის სწავლა უფასოა.

სსიპ - ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის პროექტის „მუზეუმი და ინკლუზიური განათლება“ ფარგლებში, ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას, ეძლევა შესაძლებლობა, სამუზეუმო მასალები გამოიყენონ საგანმანათლებლო კუთხით. მუზეუმის მისაწვდომობის პოპულარიზაციის მიზნით 2025 წლის 21 მარტს - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ინტეგრირებული პროექტის „მუზეუმი და ინკლუზიური განათლება“ ფარგლებში მუზეუმმა მოაწყო ადაპტირებული კუთხე. ამჯერად, ადაპტირებულ კუთხეში წარმოდგენილი იქნა სსიპ - ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის სსსმ და შშმ მოსწავლეების ხელთნაკეთი ნამუშევრების ინტეგრირებული გამოფენა, რომელიც მიეძღვნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მომზადებული გზამკვლევის - „მისაწვდომობის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში“ შესაბამისად, მუშავდება სამხატვრო აკადემიაში უმაღლეს განათლებაზე შშმ პირების მისაწვდომობის მომსახურების გეგმა.

სსიპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ევგენი მიქელაძის სახელობის ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელში ამჟამად სწავლობს ოთხი შშმ მოსწავლე: 1- საფორტეპიანო განყოფილებაზე, 3 - ვოკალურზე. შშმ პირები, რომლებიც სწავლობენ ე. მიქელაძის სახ. ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში მონაწილეობენ სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ კონცერტებში.

სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებულია პროექტები, რომელთა ფარგლებში, 2025 წელს, შშმ პირთა ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა. ინკლუზიური განათლების ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა შეხვედრები საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მათ შორის:

- „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების თემებზე სემინარები ჩაუტარდა 25 შშმ პირს.
- „მედიაწიგნიერების გლობალური ჰაკათონის პროექტის“ ფარგლებში სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და მედიალაბის ორგანიზებით, UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის პერიოდში, ახალგაზრდებისთვის ჩატარდა მედიაწიგნიერების გლობალური ჰაკათონი. ჰაკათონში 10 საუკეთესო იდეის მქონე გუნდს წარდგენილი იდეების დახვეწისთვის ჩაუტარდათ მენტორული სესიები, რომლის ძირითად თემებს ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაცია, ციფრული წიგნიერება და კიბერუსაფრთხოება წარმოადგენდა. ღონისძიების ფარგლებში, ჟიურიმ სამი საპრიზო ადგილის მფლობელი გუნდი გამოავლინა. პირველი ადგილი მოიპოვა გუნდმა

„ლიანებმა“, რომლის პროექტიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებს ყოველდღიურ ზრუნვასა და კომუნიკაციაში დაეხმარება. პლატფორმის მეშვეობით მშობლებს შეეძლებათ ბავშვის პერსონალიზებული პროფილის შედგენა, რომელიც შემდგომში კრიზისული სიტუაციის მართვას გაუმარტივებს. (უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეთა) განათლების უფლების ხელშესაწყობად და თავად უსინათლოთა კავშირის წევრთა სურვილის გათვალისწინებით, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2020 წლიდან ბრაილის შრიფტით ყოველწლიურად გამოსცემს ბიბლიის წიგნებს. 2025 წელს გამოიცა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიბლიის მეექვსე კანონიკური წიგნი „იესო ნავეს ძე“ (ორ წიგნად), რომელიც გადაეცა სსიპ ქ. თბილისის №202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას და საქართველოს უსინათლოთა კავშირს.

VII. მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დმანისის ახალგაზრდულმა ცენტრმა, ინკლუზიურ ბანაკს - „მე კარგად ვარ, შენ“ უმასპინძლა 2025 წლის აგვისტოში. ბანაკი აერთიანებდა დაუნის სინდრომისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე ახალგაზრდებს. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს შესაძლებლობა ქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მათთვის საინტერესო აქტივობებში. საზაფხულო ბანაკის პროექტი განხორციელდა „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და მასში მონაწილეობა მიიღო 32-მა ბენეფიციარმა. ბანაკი მიზნად ისახავდა, არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით, შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების თანაბრად მისაწვდომი გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფდა მათი დამოუკიდებელი ცხოვრების გამოცდილებას, თვითშეფასების ამაღლებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ამას გარდა, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს შენობაში ფუნქციონირებს შშმ პირთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი, სადაც 2025 წლის განმავლობაში არაფორმალური განათლების ღონისძიებებსა და სპორტულ, თერაპიულ აქტივობებში ჩაერთო 50-მდე შშმ პირი.

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით, **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** უზრუნველყოფს დაჭრილი და დაშავებული მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების ჩართვას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პარასპორტულ ღონისძიებებში. შშმ სტატუსის მქონე პირებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სპორტულ ღონისძიებებში:

- „ძლიერთა თამაშები“ - კანადა;
- „საჰაერო ძალებისა და საზღვაო ქვეითთა თამაშები“ - აშშ;

- „მარშირება რთულ რელიეფზე“ - შოტლანდია;
- „დაჭრილ მებრძოლთა კვირეული“ - საქართველო;
- დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა ტურნირი მჯდომარე ფრენბურთში - საქართველო;
- „საქართველოს თასი“ მშვილდოსნობაში - საქართველო;
- დიპლომატიური კორპუსის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური საქველმოქმედო გარბენი - საქართველო;
- საქართველოს ეროვნული გმირის - გიორგი ანწუხელიძის სახელობის ყოველწლიური ჩემპიონატი "3X3 კალათბურთში" - საქართველო.

2025 წელს, საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ეგიდით თბილისში ჩატარდა სამი საერთაშორისო ტურნირი:

- მარტში ჩატარდა მსოფლიო თასი პარა ძიუდოში, მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნის 300-მდე პარასპორტსმენმა და დელეგაციის წევრმა;
- მაისში ჩატარდა მსოფლიო თასი პარა წოლჭიმში, მონაწილეობა მიიღო 30 წვეყნის 300-მდე პარასპორტსმენმა და დელეგაციის წევრმა;
- სექტემბერში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი პარა ძიუდოში, მონაწილეობა მიიღო, 20 ქვეყნის 200-მდე პარასპორტსმენმა და დელეგაციის წევრმა.

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს 62 საერთაშორისო ტურნირში. წლის განმავლობაში 9 სპორტის სახეობაში მოიპოვეს 98 მედალი, მათ შორის 31 ოქრო, 30 ვერცხლი და 37 ბრინჯაო. პირველად არსებობს მოქმედი 3 მსოფლიოს და 3 ევროპის ჩემპიონი.

საქართველოს კულტურის სამინისტროს სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, 2025 წლის 4-5 თებერვალსა და 1-15 ივლისს - გაიმართა საგანმანათლებლო პროგრამა „ლიტერატურის მუზეუმის ისტორია და ფონდების პრეზენტაცია“. ამ პერიოდში ლიტერატურის მუზეუმს ეწვია 112 შშმ პირი.

2025 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს სტუმრობდნენ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების თავჯდომარე და ინკლუზიური იდეების პლატფორმა InForm -ის დამფუძნებელი. პლატფორმა აერთიანებს შეზღუდული შესაძლებლობის და ტიპური განვითარების მქონე ხელოვანების დარგებს, რომლებიც ერთად ქმნიან თანამედროვე ცეკვის სპექტაკლებს და ამით ზრუნავენ საქართველოში ინკლუზიური თანამედროვე ცეკვისა და თეატრის განვითარებაზე. შეხვედრაზე მოეწყო დოკუმენტური ფილმის „In C - თბილისი“ ჩვენება, რომელიც ასახავს InForm-ის მიერ შექმნილი ინკლუზიური ცეკვის სპექტაკლზე მუშაობას, ხოლო ჩვენების შემდეგ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა ლექცია-დისკუსია ინკლუზიური ხელოვნების მნიშვნელობაზე და მისი განვითარების შესაძლებლობებზე.

ყოველწლიურად, სსიპ - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ატარებს სასკოლო თეატრალურ ოლიმპიადას, სადაც მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მათ შორის შშმ და სსმ პირები.

წელიწადში ერთხელ ტარდება საქველმოქმედო სპექტაკლის ჩვენება, რომელიც 2025 წლის 24 დეკემბერს გაიმართა - ვახტანგ ნიკოლავას რეჟისორობით დევნილი საზოგადოებისთვის და შშმ პირებისთვის დაიდგა საქველმოქმედო საშობაო ზღაპარი, ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის „მაკნატუნა“. სპექტაკლს დაესწრნენ შშმ პირები და 400-მდე დევნილი ბავშვი.

სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს მიერ დაფინანსდა პროექტი „ვაჟა ფშაველა ბრაილით“. შემსრულებელი - ა(ა)იპ - საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრი. პროექტის ფარგლებში, ვაჟა ფშაველას პოეზიისა და პროზის 15 კრებული გამოიცა (8 ბრაილის შრიფტით, 7 გადიდებული შრიფტით).

სსიპ - ქ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატულ თეატრი ატარებს გასვლით სპექტაკლებს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებსა და საჯარო სკოლებში, რომელსაც ესწრებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

თელავის თეატრმა შშმ პირთა უფლებების რეალიზების და მხარდაჭერის მიზნით შშმ პირები 2025 წლის იანვარში, უსასყიდლოდ მიიწვია საახალწლო თოჯინურ სპექტაკლზე -„ნაბოლარას თავგადასავალი“ (რეჟისორი - გ. დოღონაძე).

2025 წელს, შშმ პირები მიწვეულ იყვნენ თელავის თეატრის ერთ-ერთ სარეპერტუარო სპექტაკლზე.

სსიპ - ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში შშმ პირებისთვის მოქმედებს შეღავათი და მათთვის მუზეუმის ექსპოზიციების დათვალიერება უფასოა.

სსიპ - ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი“-ის მიერ, 2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- მარტი - ჩვენება და მასტერკლასი ორგანიზაციის „სიკეთე ბავშვებისთვის“ ბენეფიციარებისთვის (დაესწრო 20 ბავშვი და მოზრდილი);
- აპრილი - ჩვენება და მასტერკლასი - სსიპ-ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის (სმენის არმქონე და სმენადაზიანებული ბავშვთა სკოლა). დაესწრო 25 მოსწავლე;
- მაისი - ჩვენება და მასტერკლასი ორგანიზაციის „სიკეთე ბავშვებისთვის“ ბენეფიციარებისთვის (დაესწრო 15 ბავშვი და მოზრდილი);
- ნოემბერი - ჩვენება და მასტერკლასი ორგანიზაციის „სიკეთე ბავშვებისთვის“ ბენეფიციარებისთვის (დაესწრო 20 ბავშვი და მოზრდილი).

სსიპ - საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებაში შემავალი:

- ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, 2025 წლის 10 ოქტომბერს და 10 ივნისს, გაიმართა შშმ პირთათვის სპექტაკლი - „ჟირაფი ჟოზე“.

- ქ. ბორჯომის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 2025 წლის 12 თებერვალს გაიმართა შშმ პირთათვის სპექტაკლი - „როგორ გაჩნდა ხელოვნური ნამვის ხე“, ხოლო 2025 წლის 30 მაისს, სპექტაკლი - „იავნანამ რა ჰქმნა?!“.

- ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრის 2025 წლის სეზონზე წარმოდგენები შშმ პირებმა ნახეს ქ . ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს წელიწადში 20 სპექტაკლის ჩვენებას შშმ პირებისთვის და ბაღის მოსწავლეებისთვის.

2025 წელს, სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში და სსიპ - ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“- ში სპექტაკლებს შშმ პირები ესწრებოდნენ უსასყიდლოდ. აღნიშნული პრაქტიკა მიზნად ისახავდა კულტურულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას.

2025 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა მსოფლიო დღის აღსანიშნავად, სსიპ - „ქ. სოხუმის ა. შერვაშიძე-ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გაიმართა თემატური გამოფენა. მოეწყო შშმ პირების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი და გამორჩეული ნამუშევრების გამოფენა, ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი და საზოგადოება“- სა და თსსა-ს სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობით.

მისაწვდომობისა და ჩართულობის პროექტების კოორდინატორი უსასყიდლოდ ატარებდა ინტერაქტიულ ლექცია-სემინარებს მარნეულის განვითარებისა და განათლების ცენტრში (სამხატვრო აკადემიასთან ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში) აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ მოსწავლეებთან, მათ შორის, შშმ და სსმ პირებთან, საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თემაზე. მოეწყო მოსწავლეების მიერ მომზადებული მოხსენებების წარდგენა.

2025 წლის ივლისში, განვითარებისა და განათლების ცენტრის, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს კულტურის აკადემიის ერთობლივი ორგანიზებით, ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში, ჩატარდა სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე და ტიპური განვითარების ახალგაზრდა მხატვრების (ეთნიკური აზერბაიჯანელების) გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მარნეულში მოქმედი სხვადასხვა ხატვის წრის მოსწავლეების დაახლოებით 100 ნამუშევარი. ნამუშევრები, ძირითადად, შესრულებული იყო ზეთით.

მისაწვდომობისა და ჩართულობის პროექტების კოორდინატორი, აგვისტოსა და სექტემბერში, უსასყიდლოდ ატარებდა ინტერაქტიულ ლექცია-სემინარებს ბორჯომის ტრენინგ ცენტრში (სამხატვრო აკადემიასთან ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში) შშმ, სსმ და ტიპური განვითარების მოსწავლეებთან საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თემაზე. მოეწყო მოსწავლეების მიერ მომზადებული მოხსენებების წარდგენა.

მისაწვდომობისა და ჩართულობის პროექტების კოორდინატორი სექტემბერში, უსასყიდლოდ ატარებდა მასტერკლასებს ა(ა)იპ - ჩვენი ბორჯომისათვის (სამხატვრო აკადემიასთან ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში) სასწავლო-შემოქმედებითი სახელოსნოს პედაგოგებთან შშმ/სსმ/ტიპური განვითარების ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტეგრირებულ/ინკლუზიურ ჯგუფებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდების შესახებ.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი საჩხერეში არსებულ შშმ პირთა ორგანიზაციის ბენეფიციარებსა და სხვა შშმ პირებს უფასოდ ემსახურება. მუზეუმში პერიოდულად ეწყობა შშმ პირების ნახატებისა და თვითნაკეთი ნივთების გამოფენა.

სსიპ - საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში მოქმედებს შეღავათიანი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც შშმ პირებისთვის სასახლის დათვალიერება უფასოა. მათთვის, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზდება ინდივიდუალური ან ჯგუფური ექსკურსიები, ასევე მუზეუმის სივრცე ეთმობათ სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის.

მუზეუმის პრაქტიკა ეფუძნება ინკლუზიურ მიდგომას და ვიზიტორთა საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას. ყველა მიმართვაზე რეაგირება ხორციელდება ოპერატიულად, შესაძლებლობების ფარგლებში.

სსიპ - ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში ყველა პრემიერისა და რეპერტუარული სპექტაკლის ფარგლებში მოქმედებს სოციალური პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციართა სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის შშმ პირთა დასწრების შესაძლებლობას უსასყიდლოდ. ამასთან, თეატრი, ბენეფიციართა საჭიროებების გათვალისწინებით ახორციელებს გასვლით ღონისძიებებს — სპექტაკლებსა და კულტურულ აქტივობებს შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რაც ხელს უწყობს კულტურულ პროცესებზე თანაბარ მისაწვდომობას.

2025 წელს, სსიპ - აბრეშუმის მუზეუმს, ICOM Georgia-ს მიერ გამართული სემინარის ფარგლებში, ეწვია უსინათლოთა და ექსპერტთა დიდი ჯგუფი. შეხვედრის ბოლოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ სემინარის წევრები და ექსპერტები, რომლებმაც იმსჯელეს მათთვის საინტერესო საკითხებზე, თბილისში უსინათლოთა ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

სსიპ - სმირნოვების მუზეუმში, სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში და სსიპ - მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში შშმ პირებისათვის მოქმედებს შეღავათი და ექსპოზიციების დათვალიერება უფასოა.

შშმ პირებისათვის სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში ვიზიტი და პროგრამებში მონაწილეობა უფასოა.

შშმ პირთათვის სსიპ - ილია ჭავჭავაძის საგურამოს ახელმწიფო მუზეუმში ვიზიტი და მონაწილეობა მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებში უფასოა. ასევე, ყოველწლიურად, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწმიფო მუზეუმი უთმობს თავის ეზოს საგურამოს დღის ცენტრ „იალონის“ ბენეფიციარებს გარე აქტივობების განსახორციელებლად.

სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს დაფინანსებით, ა(ა)იპ - სტუდია ასტეროიდის მიერ განხორციელდა პროექტი „ხელოვნების მრავალი ფერი“, რომელიც მოიცავდა სახვითი ხელოვნების (კერამიკა, თიხა, რეწვა, გამოყენებითი ხელოვნება, კომპოზიციური ხელოვნება, კოლაჟი, ფოტო-ხელოვნება, სიმღერა, სათეატრო ხელოვნება) ტრენინგებსა და ვორქშოპებს 2025 წლის მანძილზე, სადაც მონაწილეობდა 20 შშმ პირი.

სსიპ - ქ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში შშმ პირებისთვის სპექტაკლებზე დასწრება უფასოა. თეატრი აქტიურად მონაწილეობს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობას.

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი სისტემატიურად უთმობს სივრცეს ა(ა)იპ - პლატფორმა ინკლუზიური იდეებისთვის, რომლის ფარგლებშიც იმართება ინკლუზიური ცეკვისა და მუსიკის ვორქშოფები შშმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

2025 წელს, განხორციელდა ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დასარტყამი ინსტრუმენტების ჯგუფის კონცერტი, რომლის ფარგლებშიც კონცერტს დაესწრო, ხოლო კონცერტის დასასრულს თავად მოსინჯა დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრა, 20-მა შშმ ბავშვმა.

სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს დაფინანსებით სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელდა პროექტები:

- „კინო – ფოტო ხელოვნება - სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული მოზარდებისათვის“ - შპს - კომპანია ოქროს პეპელა - სპეციალური ორთვიანი პროგრამის შესწავლა სამოყვარულო ფილმებისა და ფოტოების გადაღება, რის შედეგადაც შეიქმნა 2 ფილმი და გაიმართა ფოტო გამოფენა, №203 სპეციალიზირებულ სკოლაში, სადაც მონაწილეობა მიიღო 30 - მდე აღსაზრდელმა.
- „შშმ ადამიანების შესაძლებლობების პოპულარიზაცია და ინკლუზია - კულტურის გზით“ – ა(ა)იპ - ასოციაცია ანიკა - გაიმართა მასტერკლასები ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით, მოეწყო შემაჯამებელი გამოფენა-გაყიდვა და კონცერტი, ასოციაცია

ანიკას ოფისში. მონაწილეობა მიიღო 15-მა შშმ და 15-მა ტიპიური განვითარების მოზარდმა.

- „კონტაქტი კონტაქტისთვის“ – ა(ა)იპ - ნიკე - თანამედროვე ხელოვნების განვითარებისათვის – შშმ ხელოვანებისა და ტიპური განვითარების ხელოვანების ერთობლივი კოლაბორაცია ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით. მოეწყო 5 შშმ პირისა და 5 არტისტის ერთობლივი ფოტო-გამოფენა.
- „ჟესტური სამყარო“ – ა(ა)იპ - საქართველოს ყრუთა კავშირი - ყრუთა კავშირის ბაზაზე არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლებისთვის „ლილე“ (14 წევრი) და „ხელები ჩემი ხმაა“(5 წევრი) ახალი რეპერტუარის შესწავლა და 4 ანიმაციური ფილმის გახმოვანება ჟესტურ ენაზე.
- „ქართული მუსიკა პარაორკესტრის შესრულებით“- ა(ა)იპ - მშობელთა ხიდი - პროექტის ფარგლებში 25 სექტემბერს გაიმართა კონცერტი 27 შშმ პირის მონაწილეობით.

2025 წლის 3 დეკემბერს, თელავის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სოციალური საწარმო Dema – დემა, სსიდა – „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის“ სოციალური საწარმო ცისარტყელა და სმენისა და მეტყველების სახლი თელავის სოციალური საწარმო „მოვუსმინოთ სამყაროს“ ბენეფიციართა ნამუშევრები.

გამოფენის გახსნის შემდეგ მუზეუმის პატარა მეგობრებმა ერთად მორთეს მუზეუმის ნაძვის ხე და დაათვალიერეს მუზეუმის საგამოფენო სივრცეები,

აღნიშნული გამოფენა - გაყიდვა გაგრძელდა 2025 წლის დეკემბრის ბოლომდე და დიდი ყურადღება და მხარდაჭერა მიიღო, როგორც ქართველი ისე უცხოელი ვიზიტორებისაგან.

2025 წელს, განხორციელდა საგუნდო თამაშები - სსიპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება თელავის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეების და შშმ პირების ერთობლივი პროექტი „ერთმანეთის გვერდით - ერთად ძლიერები ვართ“.

სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, 2025 წლის 4 ივნისს, შშმ პირთა მონაწილეობით და ჩართულობით განახორციელა ღონისძიებები კერამიკის მასტერკლასი, სადაც დაამზადეს და მოხატეს თიხის ჭურჭელი, ამავდროულად გამოიფინა მათი ფერწერული ნამუშევრები და თითოეულ მონაწილეს გადაეცა საჩუქრად ცენტრის საბავშვო თემატიკის წიგნები.

2025 წლის მანძილზე, სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში წარმატებით ხორციელდებოდა სპექტაკლი „უცნაური ქალბატონი სევიჯი“, რომელშიც მონაწილეობს 4 მიწვეული შშმ მსახიობი.

2025 წლის 3 მაისს, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, დიმიტრი ალექსიძის სახელობის სცენაზე, ინტეგრირებულმა საცეკვაო სკოლა-სტუდიამ „ანისი“ საგაზაფხულო კლას-კონცერტი „არიფანა“ გამართა, რომელშიც შშმ პირთა ორგანიზაციების ბენეფიციარებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დრამის ფაკულტეტის ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობის I კურსის სტუდენტებმაც.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგებმა და სტუდენტებმა მოამზადეს და წარმატებით განახორციელეს ინტეგრირებული შემოქმედებითი პროექტები შშმ ბავშვებისა და მოზარდების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში ინკლუზიის მიმართულებით. განხორციელდა 5 ინტერაქტიული სასწავლო-შემოქმედებითი პრაქტიკა, თითოეული - 2 თვის ხანგრძლივობით. ბენეფიციარები: სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი შშმ პირები, მათი მხარდამჭერი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებით, შშმ ბავშებისა და მოზარდების მიერ მოეწყო, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით შექმნილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების 4 გამოფენა.

2025 წელს, სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში დაიდგა სპექტაკლი „მულანი“, რომელიც განხორციელდა კოპროდუქციის ფორმატში სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრთან თანამშრომლობით. სპექტაკლის დადგმის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას. პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართული შშმ ბავშვები, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ შემოქმედებით პროცესში, განევითარებინათ საკუთარი უნარები და წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები ფართო აუდიტორიის წინაშე.

სპექტაკლი „მულანი“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კულტურის სფეროში ინკლუზიური გარემოს ფორმირებისა და შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით. პროექტმა ხელი შეუწყო როგორც მონაწილე ბავშვების თვითრეალიზაციასა და სოციალური უნარების განვითარებას, ასევე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ.

2025 წლის 9 იანვარს, სსიპ - სმირნოვების მუზეუმში გაიმართა ბავშვთა სამხატვრო სტუდიის გამოფენა „ფიქრები ფერებს მიღმა“, სადაც გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებმა.

2025 წლის 7 აპრილს გაიმართა ცნობილი მხატვრისა და ფოტოხელოვანის კახა ჩხატარაიშვილის (შშმ პირი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა-გაყიდვა. გამოფენის ფარგლებში მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი მუდმივად უზრუნველყოფს შშმ პირთა მონაწილეობას კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინკლუზიური პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება ისეთი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია თანაბარ ხელმისაწვდომობაზე, ადაპტირებულ გარემოზე, ინფორმაციის ალტერნატიულ ფორმატებზე (აუდიოდესკრიფცია, გიდირებული ტური, სპეციალური საგანმანათლებლო მოდულები) და ა.შ.

2025 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული გალერეაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ინკლუზიური პროგრამა - „ფიროსმანის დღე ეროვნულ გალერეაში";
- ხელოვნების ნიმუშების აუდიოდესკრიფცია უსინათლო და მცირედმხედველი დამთვალიერებლებისთვის;
- საქართველოში სმენადაქვეითებული და უსინათლო პირების სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაფართოების ფარგლებში შემუშავებული პროგრამა - „შევიგრძნოთ ხელოვნების ნიმუშები";
- სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრებისათვის შექმნილი პროგრამა - „რას მოგვითხრობს მხატვრობა".

2025 წლის განმავლობაში, ოთარ ლორთქიფანიძის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში განხორციელდა შემეცნებითი გასართობი პროექტი - „მუზეუმი, ადგილი სადაც გულით გელიან". პროექტის ფარგლებში მუზეუმს სტუმრობდნენ ვანის შშმ დღის ცენტრ „ნათელი მომავალის" ბენეფიციარები და პედაგოგები.

დმანისის მუზეუმმა, 2025 წლის სექტემბერს, უმასპინძლა დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტს შშმ პირებისთვის სპეციალური არქეოლოგიური ექსკურსიის მოწყობის მიზნით.

2025 წლის 26 დეკემბერს, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში გაიმართა ნაძვის ხის ღონისძიება ა(ა)იპ - სიღნაღის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობელთა კავშირი" ბენეფიციარებისათვის.

2025 წლის 01 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სსიპ - ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმში, ქ. გორში არსებული მენტალური ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრის „ნეირუმის" ბენეფიციარების მიერ მოეწყო გამოფენა, განხორციელდა კერამიკოს გივი ტატულაშვილის მასტერკლასი შშმ პირთა ჩართულობით.

სსიპ - გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმმა, 2025 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩაატარა ღონისძიება ვანის მუნიციპალიტეტის „დღის ცენტრის" ბენეფიციარი შშმ პირთა მონაწილეობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის

მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შშმ პირთა პანსიონატები უზრუნველყოფენ საარჩევნო უფლების მქონე ბენეფიციართა საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების (ფილიალების) ბენეფიციარების უდიდესი უმრავლესობა დარეგისტრირებულია იმ იურიდიულ მისამართზე, რომელიც შეესაბამება მათ ფაქტობრივ საცხოვრებელს, ხოლო იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან განსხვავებულ იურიდიულ მისამართზე და გამოხატავენ არჩევნებში მონაწილეობის სურვილს, უზრუნველყოფილია ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

2025 წელს, შესაბამისი პანსიონატის მისამართზე დარეგისტრირდა 50 ბენეფიციარი. ცალკეულ შემთხვევებში, ბენეფიციარები თავად აცხადებენ უარს რეგისტრაციის ადგილის შეცვლაზე.

სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციართა მუდმივ მხარდაჭერას საარჩევნო პროცესში მათი აქტიური, ინფორმირებული და დამოუკიდებელი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ახალი (ელექტრონული) საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების წესების ბენეფიციარებისთვის გაცნობის გზით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და კულტურულ ცხოვრებაში თანამშრომელთა აქტიური ჩართვის ხელშეწყობის მიზნით განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები. აქტივობების ნაწილი მისაწვდომი და ინკლუზიური იყო სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის. შესაბამისად, სისტემის მასშტაბით დასაქმებულ შშმ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა: ბოჩა, ჭადრაკი და კალათბურთი (პარაკალათბურთი);

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №820 ბრძანებით დამტკიცებულია პენიტენციურ დაწესებულებებში სპორტის მართვის 2022-2030 წლების სტრატეგია, რომლის ფარგლებში დაწესებულებებში განახლდა სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. მსჯავრდებულები მონაწილეობენ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში. აგრეთვე, დაინერგა სპორტული პროგრამები, რომლებიც მსჯავრდებულებს შესაძლებლობას აძლევს, ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ ტრენერებად ან/და ფიტნეს-ინსტრუქტორებად, რაც დასაქმებასა და საზოგადოებაში ეფექტურ რეინტეგრაციაში დაეხმარებათ დაწესებულების დატოვების შემდეგ. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ყველა მსურველს, როგორც ტიპური განვითარების, ისე შშმ პირებს.

სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიერ ბენეფიციარებისთვის ჩატარდა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები. კერძოდ, მოეწყო შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის, ბენეფიციარებისთვის საგზაო მოძრაობის შესახებ. აგრეთვე, „კინო კლუბის" პროექტის ფარგლებში მოეწყო კინოჩვენებები.

განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ, როგორც ტიპური განვითარების, ასევე, შშმ ბენეფიციარებს.

სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შიდა სივრცეში, ჩატარდა დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მოწვეული იყვნენ სოციალური საწარმო „ბაბალეს“ წარმომადგენლები, რომლებმაც წარმოადგინეს ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

პროექტის „კონფიდენციალურობის გაკვეთილების“ ფარგლებში, 2025 წლის 4 ნოემბერს, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის** ოფისში ჩატარდა ღონისძიება არასრულწლოვან შშმ პირთა მონაწილეობით. შეხვედრის ფარგლებში, არასრულწლოვნებმა[7] მიიღეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი საკითხების შესახებ. გაეცნენ მონაცემთა კატეგორიებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, მათი დაცვის საკანონმდებლო გარანტიებს, მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, საფუძვლებს, და ასევე კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, **მუნიციპალიტეტები** ახორციელებდნენ მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავდა ბოჩას ტურნირებს, ჭადრაკის ტურნირს, ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის ასპარეზობას, თოვლის ეტლით თხილამურების ჩემპიონატს, ბოულინგის ტურნირს, პარაპლანით ფრენის აქტივობას (მათ შორის ეტლით ფრენას), ჯომარდობის ჩემპიონატს, ფეინთბოლის ჩემპიონატს, მშვილდოსნობის ჩემპიონატს, მასობრივი სპორტის ღონისძიებას „ტირის ტურნირი“ და სპორტულ-შემეცნებით ფესტივალს. აღნიშნული აქტივობები განახორციელდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ამბროლაური, ცაგერი, აბაშა, მარტვილი, სენაკი, წალენჯიხა, ხობი, ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ნინოწმინდა, ბოლნისი, მარნეული, რუსთავი, ბათუმი, ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, საჩხერე, ტყიბული, ქუთაისი, ხარაგაული, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ყვარელი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ახალქალაქი, წალკა, ქარელი, ხაშური.

VIII. სტატისტიკის წარმოება და მონაცემთა შეგროვება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) სისტემატიურად აღირიცხება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესახებ, მათ

[7] შეხვედრას დაესწრნენ სსიპ ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის (სმენის არმქონე და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა) მოსწავლეები.

შორის, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის/საჭიროების მითითებით და აღნიშნულის დამადასტურებელი ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნით, ასევე, შშმ პირების სტატუსის შესახებ ინფორმაცია. სისტემა, აგრეთვე მოიცავს იმ სპეციალური მასწავლებლების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც მუშაობენ/ასწავლიან შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლეებს.

საჯარო სკოლის პირველ კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის რეგისტრაცია ხორციელდება რეგისტრაციის პირველ ეტაპზე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს დამატებით ხელშემწყობ მექანიზმს. რეგისტრაცია ხდება მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, ოფიციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომლის კოორდინაციასა და კონტროლსაც უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოცემულია ინფორმაცია სსსმ პირთა შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტი სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები კი სსსმ პირებისათვის გამოყოფენ ცალკე მისაღები ადგილების რაოდენობას და შემდგომ, შესაბამისი შეფასებისა და სსსმ სტატუსის დადასტურების გათვალისწინებით, ისინი უგამოცდოდ ირიცხებიან პროფესიულ პროგრამებზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სსსმ პირების სწავლის დაფინანსებისათვის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების თანახმად, გათვალისწინებულია ცალკე დანამატი. სსსმ პირებისათვის პროფესიულ პროგრამებზე მიღების, მონაცემთა დამუშავებისა და დაფინანსების ავტომატიზებული გაანგარიშების უზრუნველყოფა ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

<u>ელექტრონული ჟურნალის (online school)</u> ფარგლებში, სპეციალური მასწავლებლებს და ფსიქოლოგებს ეძლევათ შესაძლებლობა:

- მონიტორინგი გაუწიონ სსსმ მოსწავლეთა დასწრებასა და შეფასებებს;
- განიხილონ და გაუზიარონ საგაკვეთილო დავალებები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს;
- დაგეგმონ შეხვედრები კალენდარის ფუნქციის საშუალებით;
- აწარმოონ კომუნიკაცია მოსწავლეებსა და მშობლებთან ჩატის მოდულით.

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

22 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება; 5 საერთაშორისო სპორტული ფორუმი (მათ შორის, ევროპის პარალიმპიური კომიტეტის გენერალური ასამვლეა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო ასამბლეა, პარა ათლეტების საერთაშორისო საბჭოს ყრილობა) 62

საერთაშორისო ტურნირი; ჯამში, საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ეგიდით ვინც საერთაშორისო ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა, სულ არის 137 პარასპორტსმენი; აქედან 103 მამაკაცი და 34 ქალი პარა ათლეტი; 49 პარასპორტსმენი იღებს ოფიციალურ სტიპენდიას, რომელიც ენიშნებათ მიღწევების შედეგად სპორტის სამინისტროს მიერ პარალიმპიური კომიტეტის წარდგენით; 32 მწვრთნელი ემსახურება პარასპორტსმენთა ვარჯიშს და განვითარებას, რომელთა ნაწილს სტიპენდიები ენიშნებათ სპორტის სამინისტროს მიერ პარალიმპიური კომიტეტის წარდგენით და ნაწილს - მწვრთნელთა დახმარების პროგრამიდან და პარასპორტის განვითარების ცენტრიდან; 15 პერსონალური ასისტენტი ემსახურება პარა ათლეტთა დამოუკიდებელ გადაადგილებას.

მედლების სტატისტიკა:

- 98 მედალი;
- 31 ოქრო, 30 ვერცხლი და 37 ბრინჯაო;
- აქედან 55 მედალი კაცი პარა ათლეტები, ხოლო 43 მედალი ქალი პარა ათლეტების ანგარიშზეა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით:

2025 წელს, სსიპ – თელავის ისტორიული მუზეუმში შშმ პირთათვის ჩატარდა 2 ღონისძიება სადაც დაახლოებით 60 - მდე შშმ პირმა მიიღო მონაწილეობა.

სსიპ – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის პროექტის ,,მუზეუმი და ინკლუზიური განათლება" ფარგლებში მიმდინარეობს იმერეთის რეგიონის საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობების შესახებ მონაცემთა შეგროვება, აღრიცხვა, ღონისძიებების დაგეგმვა და მოწყობა მათი უნიკალური შესაძლებლობების გამოყენებით, მათთვის ღონისძიების მიმდინარეობისას შესაბამისი რესურსების შეთავაზებასა და გარემოს შესაქმნელად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ხორციელდება სააგენტოს ადმინისტრირების სფეროში შემავალი სოციალური პროგრამების შესახებ მონაცემების რეგულარული დამუშავება-ანალიზი, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე[8].

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო სისტემურად და ინსტიტუციურად ახორციელებს უფლებამოსილების ფარგლებში არსებული სერვისების შესახებ ადმინისტრაციული სტატისტიკის წარმოებას, მონაცემთა

[8] ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა https://ssa.moh.gov.ge/index.php?lang=1&v=0 (ბოლოს ნანახია 26/03/2026).

შეგროვებას, ვალიდაციასა და ანალიზს. მონაცემთა მართვის პროცესი ეფუძნება ერთიან მეთოდოლოგიურ ჩარჩოს და უზრუნველყოფს სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სტრუქტურული ერთეულს შორის კოორდინირებულ და სტანდარტიზებულ ინფორმაციულ მიმოცვლას.

პარალელურად, ხორციელდება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ წარმოებული პირველადი მონაცემების ცენტრალიზებული აკუმულირება და კონსოლიდაცია, რაც იძლევა სერვისების მოცვის, ბენეფიციართა რაოდენობრივი და დემოგრაფიული პროფილის, საჭიროებებისა და მომსახურების დინამიკის შესახებ სანდო და შედარებად სტატისტიკურ სურათს.

2025 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებისა და მონაცემთა სტანდარტიზაციის მიზნით შემუშავდა 16 თემატური მონაცემთა ბლოკი, რომლებიც აერთიანებს:

ალტერნატიული ზრუნვის მიმართულებებს (როგორც ფორმალურ რეზიდენტულ, ისე ოჯახზე დაფუძნებულ ზრუნვას); შვილად აყვანის პროცედურებს; სპეციალიზებულ დაწესებულებებსა და პროგრამებს.

აღნიშნული თემატური ბლოკები უზრუნველყოფს შშმ პირთა იდენტიფიცირებას სტატისტიკურ ჭრილში, მათი ფუნქციური და სოციალური მდგომარეობის შეფასებას, სერვისების ხელმისაწვდომობისა და დაფარვის ანალიზს, ასევე არსებული სისტემური ხარვეზების გამოვლენასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას. შედეგად, შესაძლებელი ხდება ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავება და შშმ პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სსიპ- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ადმინისტრირებით ფუნქციონირებს შშმ პირებზე უშუალოდ მორგებული, დამოუკიდებელი და სპეციალიზებული სერვისები, კერძოდ:

- 24-საათიანი მომსახურების დაწესებულებები შშმ პირებისა და ხანდაზმულებისთვის - ფუნქციონირებს 6 დაწესებულება, მათ შორის 3 სპეციალიზებულია უშუალოდ შშმ პირებზე. 2025 წლის განმავლობაში აღნიშნულ დაწესებულებებში მომსახურება მიიღო დაახლოებით 144 შშმ ბენეფიციარმა.
- სათემო ორგანიზაციები შშმ პირებისა და ხანდაზმულებისთვის - ფუნქციონირებს 66 ორგანიზაცია, რომელთაგან 48 წარმოადგენს შშმ პირებზე ორიენტირებულ სათემო სერვისს. 2025 წლის მდგომარეობით, აღნიშნულ სერვისებში ჩართული იყო დაახლოებით 1000-მდე შშმ ბენეფიციარი.

2023 წლიდან, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში** დანერგილია სტატისტიკური მონაცემების წარმოების ახალი ფორმა, რომლის მიხედვითაც უწყება ითვლის და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე კვარტალურად აქვეყნებს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას და გახსნის მაჩვენებელს, რომელშიც აღრიცხულია, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის 142[2] მუხლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა".

დამატებით აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით), ქართულ და ინგლისურ ენებზე, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე [9]

2025 წელს, **სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ წარმოებაში მიღებულია შშმ პირების 1 565 საქმე, აქედან:

- სისხლის სამართლის 653 საქმე;
- სამოქალაქო სამართლის 724 საქმე;
- ადმინისტრაციული სამართლის 188 საქმე.

2025 წელს შშმ პირების მიმართ გაწეულია **525** კონსულტაცია და შედგენილია **116** სამართლებრივი დოკუმენტი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შეფასდა შშმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება, მოქალაქეთა განცხადებების, გეგმური და არაგეგმური შემოწმებების ფარგლებში;

ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის გეგმური შემოწმება, რომელიც მოიცავდა დასახელებული უწყების მიერ სამედიცინო პროგრამაში (რეფერირების ელექტრონული პროგრამა) აღრიცხულ, მათ შორის, ქალ, არასრულწლოვან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსჯავრდებულ პირებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კანონიერების შესწავლას.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, **სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის** (შემდგომში - საქსტატი) ვალდებულებაა შესაბამისი ორგანიზაციებისგან საჭირო ინფორმაციის მიღება 2025

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika (ბოლოს ნანახია 27/03/2026)

წლისათვის დამტკიცებული სტატისტიკური სამუშაოების პროგრამით გათვალისწინებული ნუსხისა და პერიოდულობის შესაბამისად.

საქსტატმა, 2025 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაავრცელა შშმ პირთა შესახებ დამატებითი მაჩვენებელი შშმ პირთა სტატისტიკის პორტალზე - „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საბაზო და ზოგადი განათლების მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების რიცხოვნობა პროგრამების და სქესის მიხედვით“[10].

ასევე, მიმდინარეობდა 2024 წლის საქართველოს მოსახლეობის და სასოფლო- სამეურნეო აღწერის ბაზის დამუშავება, რომელიც მოიცავს მონაცემებს იმ პირთა შესახებ, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ვაშინგტონის ჯგუფის (WG) მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ამასთან, 2025 წლის 29 დეკემბერს, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული 2026 წლის წლიური სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ საჯარო სამსახურის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაცემების შეგროვება, ამ ეტაპზე, ხორციელდება არსებული ინდიკატორების საფუძველზე, რაც გულისხმობს, რაოდენობრივი განაწილების შესახებ ინფორმაციას და აღწერით სტატისტიკურ ანალიზს. ბოლო მონაცემებით, საჯარო სამსახურში დასაქმებულია **199 შშმ პირი,** რომელთაგანაც **91 ქალია,** ხოლო **108 მამაკაცი.** ამასთან, მოხელის თანამდებობაზე დანიშნულია - **99** (ქალი 55, კაცი 44), ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია - **24** (ქალი 8, კაცი 16), ხოლო შრომითი ხელშეკრულებით - **76** (ქალი 28, კაცი 48) პირი.

აღსანიშნავია, რომ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 2025 წლისთვის შემუშავდა საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს თეორიული ჩარჩოს სიღრმისეულ მიმოხილვასა და შესაბამის კითხვარებს. ინსტრუმენტი შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულებისათვის დასაქმების ადგილებში შშმ პირების შესახებ სტატისტიკის წარმოებისათვის. დოკუმენტში წარმოდგენილია კითხვარი, რომელიც დასაქმების სფეროში შშმ პირების შესახებ სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. ასევე წარმოდგენილია მისი გამოყენების შესახებ რეკომენდაციები.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის მიერ, 2025 წელს, მომზადდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და

[10] შშმ პირთა სტატისტიკის პორტალი disability.geostat.ge/shshm/education.php?lang=ka (ბოლოს ნანახია 26/03/26).

თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების შესრულების თაობაზე 2024 წლის ანგარიში“ აღნიშნული ანგარიში დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №17637 განკარგულებით და წარდგენილი იქნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე.

2025 წელს, **საქართველოს პროკურატურების** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ 84 სისხლის სამართლის საქმეში, ხოლო მომსახურება გაუწიეს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე 83 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმეს ან/და დაზარალებულს. იმ სისხლის სამართლის საქმეებიდან, სადაც 2025 წელს დაზარალებულად ცნობილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (99 საქმე), საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩართული იყო სისხლის სამართლის საქმეთა 60%-ში (59 საქმე), ხოლო მომსახურება გაუწია დაზარალებულთა საერთო რაოდენობის 54%-ს. კერძოდ, კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 59 დაზარალებულს, მათ შორის 30 ქალსა და 29 კაცს.

2025 წელს, შშმ პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვის, მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის გამარტივების, დაცვისა და დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ემოციური მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის სერვისით ისარგებლა შშმ მსხვერპლთა (მათ შორის, შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა) 53,2%-მა.

დასკვნა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ძალისხმევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ შშმ პირთა უფლებების დაცვა წარმოადგენს მზარდ პრიორიტეტს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ხაზგასასმელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში (2022-2030) და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაში (2024-2026) ცალკე თავი ეთმობა შშმ პირთა უფლებების დაცვას და ინკლუზიური მიდგომის გაძლიერებას. აღნიშნულ დოკუმენტში შშმ პირთა უფლებებზე აქცენტირება უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის მდგრადობას.

2025 წლის განმავლობაში, შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით, შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმების ფარგლებში, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს როგორც სამინისტროებმა, ასევე მუნიციპალიტეტებმა და სახელმწიფო უწყებებმა. ამასთანავე, 2025

წელს საფუძველი ჩაეყარა ისეთ აქტივობებს, რომელთა განხორციელება სხვა ღონისძიებებთან ერთად იგეგმება, 2026 და მომდევნო წლებშიც.

მიუხედავად, განხორციელებული ძალისხმევისა და პროგრესისა, კვლავ რჩება გამოწვევები შშმ პირთა უფლებების სრული და ეფექტიანი რეალიზების მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოს სამინისტროები, მუნიციპალიტეტები სახელმწიფო უწყებები, საჭიროებებზე დაყრდნობითა და კომპეტენციის ფარგლებში, გააგრძელებენ მუშაობას შშმ პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობაზე. ხოლო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული მუშაობის კოორდინაციას.